საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის 2014-2016 წწ. სტრატეგიული გეგმა

საფინანსო ანალიტიკური სამსახური

თბილისი, 2013 წლის დეკემბერი

სარჩევი

I. შესავალი ... 3

II. ორგანიზაციული თვითშეფასება ... 5

III. სტრატეგიული ჩარჩო ... 7

IV. საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ხედვა და მისია ... 8

V. მიმდინარე მდგომარეობის აღწერა ... 9

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ... 9

PFMS და მისი არსებული კომპონენტები ... 12

eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა ... 13

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა ... 15

eDMS - სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა ... 17

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა ... 19

ePassport - მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემა ... 21

eAuction.ge - ელექტრონული აუქციონი ... 21

პორტალები, ვებ-გვერდები ... 22

eNRMS - მერქნული რესურსის მართვის ელექტრონული სისტემა ... 24

eDocument – საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა ... 25

სამინისტროს ცხელი ხაზის - 1551 განვითარება ... 25

VI. მიზნები, აქტივობები და შედეგები ... 27

მიზანი 1: ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, მათი მდგრადი, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა ... 28

მიზანი 2: ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, განვითარება, მხარდაჭერა, მდგრადობისა და უსაფრთხოების სრულყოფა ... 33

მიზანი 3: მაღალი სტანდარტების და ხარისხის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, დანერგვა და შესაბამისი მომსახურება ... 37

მიზანი 4: სახელმწიფო სექტორის ბიზნესპროცესების შესწავლა, ფორმალიზება, ოპტიმიზება და ავტომატიზება ... 42

მიზანი 5: ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის და ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის შემუშავებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა ... 45

VII. მონიტორინგი და შეფასება ... 51

I. შესავალი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“ (შემდგომში - სამსახური) 2010 წლის აპრილში შეიქმნა. სამი წლის განმავლობაში სამსახურის საქმიანობის მიმართულებები და არეალი გაფართოვდა, გაიზარდა მისი საკადრო შემადგენლობაც და ზოგადად, სამსახურის მნიშვნელობა ქვეყნის საფინანსო სისტემის მოდერნიზების, საჯარო ფინანსების მართვისა და სტაბილურად ფუნქციონირების, ასევე ელექტრონული მთავრობის განვითარების საქმეში.

სამსახურს ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზარზე. მის შემადგენლობაში შედის **6 დეპარტამენტი და დასაქმებულია 100-მდე თანამშრომელი.**

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური მართავს თანამედროვე საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურას, დანერგილია სრულიად ახალი პროდუქტები და სერვისები ელექტრონული მომსახურების სფეროში. სამსახური უზრუნველყოფს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების საინფორმაციო რესურსების განვითარებას, ბიზნეს-პროცესების ავტომატიზებას და ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

სამსახური საქმიანობას ახორციელებს შემდეგი მიმართულებებით:

- ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;
- პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება;
- ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი;
- ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა;
- ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა;
- ფინანსთა სამინისტროს, სხვა სახელმწიფო უწყებებისა და ორგანიზაციების ვებ გვერდების შექმნა;
- ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის კომპონენტების განვითარება და სერვისების მიწოდება;
- ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

სტრატეგიული გეგმის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს საშუალოვადიან პერიოდში - 2014 წლიდან 2016 წლის ჩათვლით.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების განხორიცელების პროცესში. ამ მიზნით სამსახურმა შეიმუშავა მომავალი სამი წლის სამოქმედო გეგმა, რაც სრულ თანხვედრაშია ფინანსთა სამინისტროს პრიორიტეტებთან და, პირველ რიგში, ქვეყანაში მიმდინარე საჯარო ფინანსების მართვის[1] რეფორმასთან.

[1] საჯარო ფინანსების მართვის ფუნდამენტური მიზანია ქვეყანაში არსებული რესურსების ეფექტურად გამოყენება. ფისკალური პოლიტიკა მიმართულია სახელმწიფო სახსრების სტრატეგიულ განთავსებაზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო სახსრების სახელმწიფო პრიორიტეტებისკენ ეფექტურად მიმართვას და ამ პრიორიტეტების დასაფინანსებლად მრავალწლიანი მყარი ფინანსირების პაკეტის შექმნას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო საშუალოვადიანი პრიორიტეტების დაფინანსების საიმედოობას

აღნიშნული სტრატეგიული გეგმა აყალიბებს სამსახურის ხედვას და ასახავს მომავალი წარმატებისათვის აუცილებელ მიზნებს.

წინამდებარე სტრატეგიული გეგმა საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის პრიორიტეტების სისტემატიზაციისა და ამ პრიორიტეტების დაინტერესებული მხარეებისათვის გასაცნობად შემუშავდა. გეგმა წარმოადგენს სამსახურის მიზნების ძირითად გზამკვლევს და ხელს შეუწყობს სამსახურის ორგანიზაციული და მმართველობითი საქმიანობის წარმართვას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

გეგმის მიზანია ხელი შეეწყოს ქვეყნის სახელმწიფო სექტორში მიმდინარე ბიზნეს-პროცესებთან დაკავშირებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების განსაზღვრას, ამ სფეროში გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტას, მოქმედი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესებას და ახალი სერვისების დანერგვას, ელექტრონული მმართველობის ეფექტიანი ფუნქციონირების და საინფორმაციო პროცესების ბიზნეს-უწყვეტობის უზრუნველყოფას.

წინამდებარე 2014-2016 წლების სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს განახლებად დოკუმენტს, რათა უზრუნველყოფილი იყოს რეფორმის პროცესის მოქნილობა მიღწევებისა და გამოწვევების პარალელურად. აგრეთვე, ეს დოკუმენტი დაეხმარება ფინანსთა სამინისტროს მიერ განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების გამჭვირვალობასა და ანგარიშგებას. ცვლილებები ამ გეგმაში შეიძლება საჭირო გახდეს სამსახურის ბიზნეს სტრატეგიის ცვლილების, შესაძლო სტრუქტურული რეფორმების ან სხვა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზემოქმედების ან საკითხისადმი ახლებური მიდგომის საჭიროების შემთხვევაში.

სტრატეგიული გეგმის მოქმედების სფერო

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სტრატეგიული გეგმა 2014-2016 წლებისათვის მოიცავს სამსახურის მენეჯმენტს, მის სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, ფინანსთა სამინისტროს კიბერსივრცის (გარსის) ყველა კომპონენტს, სისტემასა და გამოყენებითი დანიშნულების პროგრამას (ბიზნეს-აპლიკაციას). იგი ეხება საინფორმაციო სისტემების და ბიზნეს-აპლიკაციების შემუშავების პროცესში ჩართულ სამსახურის ყველა პასუხისმგებელ თანამშრომელს, რომელიც განსაზღვრავს ბიზნესისა და საინფორმაციო სისტემების განვითარების მიმართულებებს და ახორციელებს მათ.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საქმიანობაში ჩართული ყველა თანამშრომელი, მათი მოვალეობის ფარგლებში, პასუხისმგებელია ამ სტრატეგიული გეგმის დაცვასა და მისი მოთხოვნების შესრულებაზე.

II. ორგანიზაციული თვითშეფასება

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ორიენტირებულია **საკუთარი რესურსებით საინფორმაციო სისტემების შემუშავებასა და განვითარებაზე (In-House Development).** ამრიგად, მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობა საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და პარტნიორ ორგანიზაციებს შორის, რადგან მათი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება მოთხოვნების ჩამოყალიბება, ტექნიკური დავალების დოკუმენტის შემუშავება და საინფორმაციო სისტემების განვითარების სამომავლო გეგმების დასახვა.

სტრატეგიული დაგეგმვის პროცესისათვის მოსამზადებლად ჩატარდა არსებული მდგომარეობის ანალიზი, შესაბამისად ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასება. დაისახა სამოქმედო პრიორიტეტები მომდევნო რამოდენიმე წლისათვის და გაანალიზდა ამავე პერიოდში დაგეგმილი საქმიანობა, რათა თვალნათლივ ჩამოყალიბებულიყო საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის საჭიროებები და აქტუალური ამოცანები.

SWOT ანალიზი[2]

<u>ძლიერი მხარეები</u> (მახასიათებლები, რომელიც ხელს უწყობს დასახული მიზნის მიღწევას):

ხელმძღვანელობა: საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს სათავეში უდგას განათლებული, კომპეტენტური და მოტივირებული მენეჯმენტი, რომელსაც კარგად ესმის თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების უპირატესობები, მზად არის პასუხისმგებლობა აიღოს მართლზომიერ რისკზე და საკმაოდ მცირე ხანში გაატაროს მნიშვნელოვანი ცვლილებები.

ურთიერთობა მომხმარებლებთან: ბიზნეს მოთხოვნილებებზე და მომხმარებლებზე ორიენტირებული საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სისტემების სერვისის შეთავაზება არის ამოსავალი წერტილი. ეს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის უმთავრესი ფასეულობა და დანიშნულებაა.

თვითიდენტიფიცირება: მნიშვნელოვანია ცოდნა იმისა, თუ რა მიზანს ემსახურება ის და რა არის მისი გრძელვადიანი ამოცანები. თვითიდენტიფიცირების მაღალი ხარისხი სამსახურის ერთ-ერთი უპირატესობაა, რომელიც მას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ეხმარება.

კომუნიკაციის მაღალი ხარისხი: საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის (სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული უწყებები, სხვა სახელმწიფო დაწესებულებები) არსებობს კომუნიკაციის მაღალი ხარისხი, რაც მნიშვნელოვანი დადებითი წინაპირობაა დაგეგმილი აქტივობების წარმატებით განხორციელებისათვის.

გუნდის გამოცდილება და კვალიფიკაცია: სამსახური დაკომპლექტებილია გამოცდილი და კვალიფიციური IT სპეციალისტებით, რომლებიც სათავეში უდგანან დაგეგმილ ცვლილებებს. მუდმივად მიმდინარეობს კვალიფიციური კადრების მოზიდვა და არსებული პერსონალისთვის კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგების ორგანიზება.

[2] http://en.wikipedia.org/wiki/SWOT_analysis

<u>სუსტი მხარეები</u> (მახასიათებლები, რომელიც ხელს უშლის დასახული მიზნის მიღწევას):

სწრაფი ტექნოლოგიური ცვლილებები: საინფორმაციო ტექნოლოგიები მუდმივად და სწრაფად ვითარდება, რამაც გარკვეული ზეგავლენა შეიძლება იქონიოს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის IT რესურსებზე და რისკის წინაშე დააყენოს მიღებული გადაწყვეტილებები.

ბიუჯეტი: ეფექტიანი საინფორმაციო სისტემების და თანამედროვე ინფრასტრუქტურის მისაღწევად საჭიროა მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები. არასაკმარისმა დაფინანსებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს დაგეგმილი პროექტების წარმატებით განხორციელებაზე და ბიზნეს-მოთხოვნების სრულ დაკმაყოფილებაზე.

<u>შესაძლებლობები:</u>

საინფორმაციო სისტემების გაფართოების საშუალება: ბიზნეს მოთხოვნების ახლებურად ჩამოყალიბებამ ან საკონონმდებლო ცვლილებებმა შესაძლებელია გამოიწვიოს სისტემების არსებულ ფუნქციონალში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება ან ახალი ფუნქციონალის შემუშავება. ამ მხრივ, სამსახურის მიერ შექმნილი პროგრამული პროდუქტები მოქნილია და შესაბამისი პროცედურების გავლის შედეგად მარტივად ადაპტირებადია ახალ მოთხოვნებთან.

კომპონენტების ინტეგრაცია სხვადასხვა სისტემებთან: ხშირად აუცილებელია სხვადასხვა პროგრამულ პროდუქტებს შორის ინფორმაციის გაცვლა, რათა საინფორმაციო სისტემა იყოს უზრუნველყოფილი ვალიდური ინფორმაციით. ამ მხრივ არსებობს ინტეგრირებისათვის მოქნილი მექანიზმი ვებ-სერვისების საშუალებით, როგორც სამსახურის ფარგლებში შემუშავებული პროდუქტებისათვის, ასევე სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სისტემებისთვის.

<u>საფრთხეები:</u>

კვალიფიციური კადრების გადინება: ცნობილია, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიები, მისი სწრაფი განვითარებიდან გამომდინარე, ერთ-ერთ ყველაზე დენად სფეროს წარმოადგენს. იმ პირობებში, როცა სამსახური ორიენტირებულია საკუთარი რესურსებით შემუშავებული საინფორმაციო სისტემების განვითარებაზე, IT სერვისების საკმარის დონეზე შენარჩუნებას მნიშვნელოვნად განაპირობებს კონკრეტული პიროვნებები, რაც საინფორმაციო სისტემებს მათზე დამოკიდებულს ხდის. სამსახურის მიზნების მიღწევა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადამიანური რესურსების მოტივაციასა და არსებული კადრების შენარჩუნებაზე.

მუდმივი ცვლილება სისტემებში: პერიოდულად საჭირო ხდება საინფორმაციო სისტემების არსებულ კონფიგურაციაში ცვლილებების შეტანა. არასწორად დაგეგმილმა ცვლილებებმა შესაძლოა გამოიწვიოს საინფორმაციო სისტემის არამდგრადობა და არსებული სერვისების წყვეტა, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს როგორც რეპუტაციულ, ასევე მატერიალურ ზიანთან და უარყოფითი გავლენა იქონიოს როგორც ბიზნეს ერთეულების მუშაობაზე, ასევე სამსახურის იმიჯზე.

III. სტრატეგიული ჩარჩო

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მისია:
ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია, ბიზნესუწყვეტობის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა

მისია

მიზანი 1: ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, მათი მდგრადი, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა	**მიზანი 2:** ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, განვითარება, მხარდაჭერა, მდგრადობისა და უსაფრთხოების სრულყოფა	**მიზანი 3:** მაღალი სტანდარტების და ხარისხის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, დანერგვა და შესაბამისი მომსახურება	**მიზანი 4:** სახელმწიფო სექტორის ბიზნესპროცესების შესწავლა, ფორმალიზება, ოპტიმიზება და ავტომატიზება	**მიზანი 5:** ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის და ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის შემუშავებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა	**მიზნები (5)**

შედეგი 1.1: დანერგილია კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემა (MS System Center Configuration Manager) **შედეგი 1.2:** შემუშავებულია და დანერგილია ერთიანი მონიტორინგის სისტემა (MS System Center Operations Manager) **შედეგი 1.3:** დანერგილია მომსახურების მიწოდების, ესკალაციის სისტემის **შედეგი 1.4:** განვითარებულია IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელი **შედეგი 1.5:** დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი **შედეგი 1.6:** ჩატარებული ტრენინგების შედეგად ამაღლებულია თანამშრომელთა კვალიფიკაცია **შედეგი 1.7:** ფორმირებულია სარკული მონაცემთა ცენტრი: Active-active **შედეგი 1.8:** მოდერნიზებული და გაძლიერებულია სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურა **შედეგი 1.9:** შემუშავებულია ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის პროექტი	**შედეგი 2.1:** eBudget - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 2.2:** eTreasury - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 2.3:** eDMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 2.4:** eHRMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	**შედეგი 3.1:** eAuction - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 3.2:** შექმნილია ახალი ვებგვერდები და ხორციელდება არსებული ვებგვერდების მხარდაჭერა **შედეგი 3.3:** დახვეწილია კონტენტის მართვის სისტემა **შედეგი 3.4:** ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული უწყებების ვებსაიტები გადატანილია განახლებულ ძრავზე **შედეგი 3.5:** მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდა, სატელეფონო ცენტრი გაფართოვდა, ტექნიკური სერვისების მომსახურება გაუმჯობესდა და ელექტრონული მართვის სისტემების მხარდაჭერა მეტად ეფექტიანია **შედეგი 3.6:** სამსახურის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტიპის ტრენინგები და სასწავლო კურსები	**შედეგი 4.1:** eNRMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 4.2:** დანერგილია SharePoint 2013 ღრუბლოვანი მოდელი **შედეგი 4.3:** ფუნქციონირებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი და შემუშავებულია საზღვარგარეთ ქვეყნის საელჩოებისთვის / მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალი	**შედეგი 5.1:** eDocument - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი **შედეგი 5.2:** eDocument - სისტემა დანერგილია სხვადასხვა ორგანიზაციაში, განახლებულია სისტემის ვერსია და უზრუნველყოფილია მხარდაჭერა **შედეგი 5.3:** დანერგილია eAIMS - სისტემა და უზრუნველყოფილია მისი მხარდაჭერა **შედეგი 5.4:** განვითარდა ახალი მუნიციპალური ელექტრონული სერვისები; განხორციელდა მათი დანერგვა თვითმმართველი ქალაქების პილოტურ მერიებში და ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში **შედეგი 5.5:** E-Government და E-Governance სფეროში შეიქმნა ახალი პოლიტიკის დოკუმენტები და კონცეფციები; სრულყოფილია ბიზნეს პროცედურები; განვითარდა ახალი ელექტრონული სისტემები და სერვისები	**მოსალოდნელი შედეგები (27)**
ამოცანა 1.1: კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემის დანერგვა **ამოცანა 1.2:** ერთიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა **ამოცანა 1.3:** მომსახურების მიწოდების, ესკალაციის სისტემის მულტიარხიანი სისტემის დანერგვა **ამოცანა 1.4:** IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელის განვითარება **ამოცანა 1.5:** ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა **ამოცანა 1.6:** თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება **ამოცანა 1.7:** სარკული მონაცემთა ცენტრის ფორმირება: Active-active **ამოცანა 1.8:** სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და გაძლიერება **ამოცანა 1.9:** ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის დაგეგმვა	**ამოცანა 2.1:** eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 2.2:** eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 2.3:** eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 2.4:** eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	**ამოცანა 3.1:** eAuction - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 3.2:** არსებული ვებგვერდების მხარდაჭერა და ახალი ვებგვერდების შექმნა **ამოცანა 3.3:** კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა **ამოცანა 3.4:** ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვებსაიტების განახლებულ ძრავზე გადატანა **ამოცანა 3.5:** სატელეფონო ცენტრის მოდერნიზება, ტექნიკური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება და მრავალი ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტური მხარდაჭერა **ამოცანა 3.6:** სამსახურის პერსონალისათვის ტრენინგების	**ამოცანა 4.1:** eNRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 4.2:** SharePoint 2013 ღრუბლოვანი მოდელის განვითარება **ამოცანა 4.3:** საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდის და საზღვარგარეთ ქვეყნის მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალის შემუშავება-განვითარება	**ამოცანა 5.1:** eDocument - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება **ამოცანა 5.2:** eDocument - სისტემის დანერგვა, განახლება და მხარდაჭერა **ამოცანა 5.3:** eAIMS - სისტემის განვითარება, დანერგვა და მხარდაჭერა **ამოცანა 5.4:** მუნიციპალური ელექტრონული სერვისების განვითარება **ამოცანა 5.5:** E-Government და E-Governance სფეროში ახალი კონცეფპოლიტიკის, ციების, პროცედურების, კომპონენტების, ელექტრონული სერვისების განვითარებაში მონაწილეობის მიღება	**შესასრულებელი ამოცანები (27)**
1.1.1. კონფიგურაციების და ტოპოლოგიის ვიზუალიზაცია 1.1.2. პროგრამული უზრუნველყოფის და სისტემების ავტომატური დანერგვა 1.1.3. კონფიგურაციის მასშტაბირებადი ცვლილებები 1.2.1. ჰეტეროგენულ სისტემებში რესურსების ერთიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა 1.2.2. SLA-ს შესრულების კონტროლი 1.2.3. დაგეგმვის და გადანაწილების ფუნქციები 1.3.1. ოპერაციულ დეპარტამენტთან ერთად ინციდენტების და პრობლემების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა 1.3.2. ინციდენტის გახსნის, დოკუმენტირების, ესკალაციის და გადაწყვეტის პროცესების ავტომატიზაცია 1.3.3. ერთიანი ცოდნის მენეჯმენტის ბაზის შექმნა 1.4.1. სერვისების მიწოდების თანამედროვე ღრუბლოვანი სისტემის (private cloud) განვითარება 1.4.2. VMWare vCloud-ის მეშვეობით IaaS (ინფრასტრუქტურა როგორც სერვისი) მიწოდება როგორც შიდა, ისე გარე მომხმარებლებისათვის 1.5.1. უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების დანერგვა 1.5.2. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გავრცელების სფეროების დადგენა ბიზნეს-პროცესებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით 1.5.3. ინფრასტრუქტურული, ქსელური და პროგრამული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის დასრულება 1.5.4. მონაცემთა გაჟონვის საწინააღმდეგო, მონაცემთა ბაზების დაცვის სისტემის დანერგვა და უსაფრთხოების მენეჯმენტის ერთიან სისტემაში ჩართვა 1.6.1. ტრენინგები დეპარტამენტების მენეჯმენტისათვის და პროექტის მენეჯერებისათვის 1.6.2. ტრენინგები სისტემური ადმინისტრატორებისათვის 1.6.3. ტრენინგები სისტემური ადმინისტრატორებისათვის 1.6.4. ტრენინგები მხარდაჭერის, ტესტირების და დანერგვის სპეციალისტებისათვის 1.7.1. ძირითადი და სარკული მონაცემთა ცენტრების active-active რეჟიმის არქიტექტურის შექმნა 1.7.2. ტექნიკური მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა 1.7.3. მონაცემთა ცენტრების active-active რეჟიმში ამუშავება და ექსპლოატაციაში გაშვება 1.8.1. მონაცემთა შენახვის სისტემების წარმადობის და მოცულობის გაზრდა, ბლეიდ პლატფორმის საერთო სიმძლავრის გაზრდა 1.8.2. მონაცემთა სარეზერვო კოპირების თანამედროვე, ვირტუალურ გარემოზე მორგებული, დედუპლიკაციის ფუნქციის მქონე სისტემის დანერგვა 1.8.3. ქსელური სისტემის წარმადობის და ეფექტურობის გაზრდა ცენტრალური კომუტატორის ვირტუალური გადართვის მექანიზმის დანერგვით 1.9.1. ახალი მონაცემთა ცენტრის პროექტირება და მშენებლობა Tier-3 სტანდარტის შესაბამისად	2.1.1. მექანიზმების დამატება, რომლებიც გაადვილებს ბიუჯეტის ანალიზს (მონაცემების შედარებითი ანალიზი, მოდელირების ხელსაწყოები, ისტორიული მონაცემების ანალიზი, კომპლექსური ანგარიშგების მექანიზმი) 2.1.2. ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესის ავტომატიზება თვითმმართველი ერთეულებისთვის (ადგილობრივი მთავრობები, ავტონომიური რესპუბლიკები) და მათი სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდირების მექანიზმის შემუშავება 2.1.3. დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების მართვის მოდულის ფუნქციონალში ცვლილებების შეტანა 2.1.4. ფუნქციონალის დამატება, რომლითაც მოხდება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ყველა საფეხურის მომზადება. 2.1.5. ერთიანი მთავრობის შესრულების დოკუმენტის მოსამზადებელი ეტაპების შესაბამისი ფუნქციონალის შექმნა (საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე) 2.1.6. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის დელეგირება პირველი დონის მხარჯავ დაწესებულებების შიგნით 2.1.7. გრძელვადიანი დაგეგმვის ფუნქციონალის შემუშავება 2.1.8. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმარების სისტემის შემდგომი ინტეგრაციის გაღრმავება PFMS ქვეშ არსებულ სხვა სისტემებთან	3.1.1. Mobile APP - მობილური აპლიკაციები (Android, IOS) 3.1.2. Mobile APP - მობილური აპლიკაციები (Windows mobile) 3.1.3. Buy It Now ფუნქციონალი 3.1.4. საქართველოს ბანკის e-Commerce (WebService) 3.1.5. საიტის დიზაინის ოპტიმიზაცია 3.1.6. ამანათის ადგილზე მიტანის სერვისი 3.1.7. ონლაინ კონსულტანტის ფუნქციონალის დამატება 3.1.8. რეპორტინგის სისტემის ოპტიმიზაცია 3.2.1. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული უწყებების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის ვებგვერდების შექმნა, განვითარება და მხარდაჭერა 3.3.1. არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ვებსაიტის კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა 3.3.2. ვებსაიტების მართვის ძრავის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა 3.4.1. არსებული ვებსაიტების გადატანა განახლებულ ძრავზე 3.4.2. ვებსაიტებისთვის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ძრავის დახვეწა და ახალი მოდულების შემუშავება 3.5.1. სატელეფონოცენტრის გაფართოება, პროცესების სრულდამრუა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება 3.6.1. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, „ვორკშოფებში“, სემინარებში და სასწავლო კურსებში თანამშრომელთა მონაწილეობა	4.1.1. მერქნული რესურსების მართვის სისტემაში მკაცრი აღრიცხვის დოკუმეტების აღრიცხვის მოდერნიზაცია 4.1.2. ლიცენზიანტის პორტალზე ანგარიშების წარდგენის პროცესის სრული ავტომატიზაცია 4.1.3. მობილური ოპერატორის საშუალებით შეტყობინებების მართვის მოდული 4.1.4. ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეტყობინებების მართვის მოდული 4.1.5. სახერხი საამქროს ანგარიშის წარდგენის მოდულის განვითარება 4.1.6. ელექტრონულ მოწყობილობაში (Device) ახალი მოდულის - მანქანის მოძრაობის შემუშავება 4.1.7. აღდგენა-გაშენების მართვის სისტემა 4.2.1. არსებული სისტემების მუშაობის პროცესის მაქსიმალური ავტომატიზაცია, სხვადასხვა სისტემების მონაცემების ერთ გარემოში შეჯამების საშუალება 4.2.2. ინფორმაციასთან მუშაობა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, პროცესების მართვის ერთიანი სივრცე 4.2.3. თანამშრომლებს შორის მაქსიმალური კომუნიკაციის მიღწევა, თანაზიარად მუშაობის პროცესების აწყობა 4.3.1. ვებგვერდის შექმნა საზღვარგარეთ მოქმედი მისიებისათვის 4.3.2. ვებგვერდის მართვის ცენტრალიზებული CMS ინსტრუმენტის შექმნა	5.1.1. პლანშეტურ და მობილურ მოწყობილობებზე მომუშავე ვერსიის მომზადება 5.1.2. ახალ ორგანიზაციებში დასანერგი ვერსიის მომზადება 5.1.3. Prive მოდულის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება 5.1.4. არსებულ მომხმარებელებთან დასანერგი ვერსიის მომზადება 5.1.5. ერთიანი საკომუნიკაციო წერტილის მოდულის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება 5.1.6. მომხმარებელთა მოსაზრებების გაანალიზება და შესამუშავებელი ფუნქციონალის ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება 5.1.7. ახლად ჩამოყალიბებებული ფუნქციონალის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება 5.1.8. ელექტრონული ხელმოწერის მოდულის განვითარება და სრულყოფა 5.1.9. საინსტალაციო ვერსიის შემუშავება 5.1.10. უცხოენოვანი ვერსიების შემუშავება 5.1.11. საქმისწარმოების სხვა კომპიუტერულ სისტემებთან ინტეგრაციის განვითარება და სრულყოფა 5.1.12. მცირე- და საშუალომასშტაბიანი განახლებების შემუშავება და დანერგვა; სისტემის PFMS-თან ინტეგრაცია 5.2.1. სისტემის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებში / ორგანიზაციებში დანერგვა 5.2.2. სისტემის დანერგვა საჯარო და კერძო სექტორის სხვა უწყებებში და ორგანიზაციებში 5.2.3. სისტემის დანერგვა სამხარეო, რეგიონულ და მუნიციპალურ დაწესებულებებში 5.2.4. ცხელი ხაზის სერვისების გაფართოება, შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერა 5.3.1. ფუნქციონალის შემუშავება, სისტემის ტესტირება, ადაპტირება და დანერგვა 5.4.1. „ახალი ინიციატივების / პროექტების წამოწყება და იმპლემენტირება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე ელექტრონული სერვისების განვითარების სფეროში 5.4.2. საქმიანი კომუნიკაცია, თემატური თანამშრომლობა მიმდინარე საერთაშორისო პროექტებთან - „საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება“ და „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“ 5.5.1. აქტური ჩართულობა ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის დარგში მიმდინარე ყველა ღონისძიებაში ან აქტიობაში 5.5.2. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა ქვეყნის სტრატეგიულ დოკუმენტში “A Digital Georgia: eGeorgia Strategy and Action Plan 2014-2018” განხორციელებაში	**განსახორციელებელი აქტივობები (92)**

VI. საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ხედვა და მისია

„ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებებში განვითარებულია ელექტრონული მმართველობის კომპონენტები, საჯარო ფინანსების მართვისა და სხვა ელექტრონული სისტემები და სერვისები, უზრუნველყოფილია მათი გამართული, უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირება“ - სამსახურის ამ ხედვის გათვალისწინებით, განისაზღვრა სამსახურის სტრატეგიული მიზნები; მათ მისაღწევად იმუშავებს სამსახური შემდგომი სამი წლის განმავლობაში. სტრატეგიულ გეგმაში მოყვანილი მისია - **„ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ბიზნესპროცესების ავტომატიზაცია, ბიზნესუწყვეტობის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ელექტრონული მმართველობის ხელშეწყობა“** სამსახურის უმაღლეს შედეგს, ანუ მიზნის მიღწევის მაღალ საფეხურს წარმოადგენს, რის შესრულებაზეც იგი იღებს პასუხისმგებლობას.

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მისიის შესასრულებლად გადადგმული ნაბიჯები შემდეგი კრიტერიუმებით გაიზომება:

- მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი („ცხელი ხაზის - 1551“ სტატისტიკა, ან გამოკითხვების საფუძველზე, ან ტრენინგების მიმდინარეობისას; აგრეთვე გამოყენებული იქნება სხვა მეთოდებიც);
- მაჩვენებელი, თუ როგორ შეესაბამება ან აჭარბებს საინფორმაციო სისტემებისადმი პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს საინფორმაციო სისტემაში ასახული ფუნქციონალი.

სტრატეგიული გეგმის VI თავში (მიზნები, აქტივობები და შედეგები) მოყვანილი ხუთი მიზანი წარმოადგენს იმ შედეგების ერთობლიობას, რომლებიც სამსახურის მენეჯმენტის აზრით, აუცილებელი და საკმარისია მისიით გათვალისწინებული მახასითებლების მისაღწევად.

VII. მიმდინარე მდგომარეობის აღწერა

სამსახურმა შეიმუშავა ქვეყნის **საჯარო ფინანსების მართვის სისტემა (PFMS)**, რომლის შემადგენელი კომპონენტებია: **eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა, eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, eDMS - სახელმწიფო ვალისა და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა, eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა**. ამას გარდა, შექმნილია და წარმატებით ფუნქციონირებს სხვა მრავალი ელექტრონული სისტემა თუ სერვისი - **უძრავ-მოძრავი ქონების გაყიდვის ელექტრონული აუქციონი (eAuction), ბუნებრივი რესურსების მართვის სისტემა (eNRMS), საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument)**. შემუშავებული და ექსპლოატაციაში გაშვებულია მრავალი ვებ-გვერდი. შემუშავების პროცესშია სხვა კომპიუტერული სისტემები.

ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა

ინფრასტრუქტურა

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ მართული და განვითარებადი სისტემები განთავსებულია მაღალი წარმადობის სერვერულ და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურაზე. შენახვის სისტემის წარმადობა უზრუნველყოფილია EMC VNX და HP XP24000 კლასის მონაცემთა შენახვის სისტემებით, ხოლო მონაცემთა დამუშავება ხდება HP და Cisco Blade კლასის სერვერებზე. ამჟამად, მთლიანობაში ფუნქციონირებს 500-ზე მეტი სერვერი, რომლებიც სრულად ვირტუალიზებულია VMware პლატფორმაზე. ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახურის მომსახურე სისტემები განთავსებულია HP SuperDome2 სერვერებზე. მთლიანობაში სისტემებს 1200 სერვერულ ბირთვამდე სიმძლავრე და 200TB შენახვის სისტემები ემსახურება. მონაცემთა ბაზებისა და შიდა სერვერების მხარე დაცულ სერვერულ ქსელში ფუნქციონირებს.

წარმადობა

სისტემის წარმადობა უზრუნველყოფილია მონაცემთა შენახვის სისტემის tiring პრინციპით და აღწევს 25,000 IOPS-ს დატვირთვების შუალედებში. სერვერული მხარე წარმოდგენილია 1200 სერვერული ბირთვით, 6TB ოპერატიული მეხსიერებით და განთავსებულია 200TB მაღალი წარმადობის დისკურ მასივებზე. სისტემის დატვირთვა პიკურ პერიოდში შეადგენს 10 მილიონამდე ტრანზაქციას დღეში.

ბიზნეს-უწყვეტობა

ბიზნეს-უწყვეტობა უზრუნველყოფილია ორი სარკული მონაცემთა ცენტრით, რომელთა დაცილება დაახლოებით 30 კილომეტრია. მათი კავშირი ხორციელდება ორი დამოუკიდებელი ოპტიკური კაბელით, რომელთა საშუალებით მიმდინარეობს მონაცემთა უწყვეტი რეპლიკაცია შენახვის სისტემების დონეზე.



მონაცემთა ცენტრების ინფრასტრუქტურა განსხვავებულია. ძირითად მონაცემთა ცენტრში ელექტროკვება მიეწოდება ორი სხვადასხვა წყაროს მეშვეობით, თუმცა ორივე თავს იყრის ერთი უწყვეტი კვების წყაროების სისტემაში. სარკულ მონაცემთა ცენტრში ყველა ძირითადი სისტემა დივერსიფიცირებულია - ელექტრული კვება (ორი დამოუკიდებელი ხაზი და ორი გენერატორი), გაგრილება, უწყვეტი კვების დამოუკიდებელი ორი ბლოკი (n+1).

ბიზნეს-პროცესები

სერვერული და ფიზიკური ინფრასტრუქტურის დაგეგმვის, სიმძლავრეების მართვის, მონიტორინგის და განვითარების პროცესები ფორმალიზებულია. დანერგილია ინფრასტრუქტურის მართვის კონსოლიდირებული სისტემები, რომელთა საშუალებით შესაძლებელია ელექტრომომარაგების, ტემპერატურის, სერვერების ფუნქციონირების პარამეტრების ონლაინ რეჟიმში დაკვირვება. გამართულია შეტყობინებების სისტემები საგანგებო სიტუაციების დროს როგორც ინფრასტრუქტურულ, ასევე მონაცემთა შენახვის

სისტემების და სერვერების წარმადობის კუთხით. მიმდინარეობს კონფიგურაციის და ცვლილებების მენეჯმენტის დანერგვა.

ადამიანური რესურსები

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სტრატეგიაში ადამიანური რესურსების განვითარებას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა. სხვადასხვა დეპარტამენტების სპეციალისტებმა - პროგრამისტებმა, სისტემურმა ადმინისტრატორებმა, ანალიტიკოსებმა და მენეჯმენტის წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგები როგორც პროფესიული სპეციალიზაციით, ისე პროექტების მენეჯმენტის, სტრატეგიული დაგეგმვის და ადამიანური რესურსების მართვის კუთხით.

სპეციალური ტრენინგ-კურსები მოიცავდა პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების საერთაშორისო სტანდარტებს, IT ბიზნეს პროცესების მართვის სტანდარტებს (ITIL, MOF), მონაცემთა ბაზების ადმინისტრირებას, კონფიგურაციის და ცვლილებების მენეჯმენტს, ინფრასტრუქტურის მართვას.

PFMS და მისი არსებული კომპონენტები



eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა

სისტემის გამოყენებით ხორციელდება საქართველოს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ხელისუფლებების ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების, ასევე სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებისა და სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების მართვა.



სისტემის მეშვეობით ხდება შემდეგი პროცესების ავტომატიზება:

- მომდევნო წლის წლიური და კვარტალური ნაერთი ბიუჯეტების მართვის მექანიზმი;
- პროგრამული ბიუჯეტის მართვის მექანიზმი;
- მიმდინარე წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შემდგომი დაზუსტებების პროცესის მართვის მექანიზმი, ქვემოთ ჩამოთვლილი ცვლილების ცნობების გამოყენებით:
    - ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობები;
    - სტრუქტურული ცვლილების ცნობები;
    - მიზნობრივი გრანტის ცვლილების ცნობები;
    - მომუშავეთა რიცხოვნობის ცვლილების ცნობები.
- დინამიური ანგარიშგების სისტემა;

- სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესრულების კონტროლის მექანიზმი;
- სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების ფინანსური მონაცემების კონტროლის მექანიზმი;
- კლასიფიკატორების, პერიოდების, წლებისა და დაფინანსების წყაროების დინამიური მართვის მექანიზმი;
- სხვა სისტემებთან (eTreasury, eDMS) საინტეგრაციო ფუნქციონალი.

eBudget - სისტემის მოდულები:



eBudget - სისტემის უპირატესობები:

- მარტივი და ინტუიტიური ინტერფეისი;
- სახელმწიფო ბიუჯეტთან დაკავშირებული საკითხების შესრულების დროის მინიმიზაცია;
- დახვეწილი კონტროლის მექანიზმები, რაც მინიმუმამდე ამცირებს სისტემის მომხმარებლის მხრიდან მექანიკური შეცდომის დაშვების ალბათობას;
- ძირითადი განზომილებების დინამიურობა, რაც ცვალებად მოთხოვნებზე ფეხის აწყობის საშუალებას იძლევა;
- მრავალი ენის მხარდაჭერა.

eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული სისტემა

სისტემა წარმოადგენს ყველა საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის დოკუმენტებისა და დანართების ელექტრონულ ფორმატში წარდგენის და საბიუჯეტო სახსრების მართვის საშუალებას. მისი მეშვეობით მხარჯავ დაწესებულებებს აქვთ საშუალება მოახდინონ სახელმწიფო ფულადი სახსრების ონლაინ რეჟიმში გადარიცხვა. სისტემის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს სახელმწიფო ხაზინის მუშაობის ეფექტიანობა, გამჭვირვალობა და შეამციროს ოპერაციული და ფინანსური რისკები. ასევე, სისტემის ფუნქციონალი მოიცავს სხვადასხვა სახის ანგარიშგებების შედგენის შესაძლებლობას, რომლის ფარგლებშიც ხდება სრულყოფილი ინფორმაციის მიღება და სახელმწიფოს მიერ გაწეული ხარჯების კლასიფიცირება.

სახაზინო პროცესი PFMS-ის ფარგლებში



სისტემა გაყოფილია ორ ნაწილად: (1) მხარჯავების მხარე - ბიუჯეტის დაფინანსების ქვეშ მყოფ ყველა ორგანიზაციას აძლევს საკუთარი რესურსების მართვის და ტრანზაქციების შესრულების საშუალებას; (2) ხაზინის მხარე - ხაზინისთვის სახელმწიფო სახსრების და ხარჯების კონტროლის, მონიტორინგის და ანალიზის განსახორციელებლად საჭირო ინსტრუმენტების კრებული.

eTreasury - სისტემის მოდულები:



სისტემის მხარჯავების მხარეს არსებული სერვისების მეშვეობით ხდება შემდეგი პროცესების ავტომატიზება:

- ხელფასების გაცემის პროცესი, რომლის ფარგლებში მომხმარებელს აქვს საშუალება მარტივად მოახდინონ თავის საშტატო ნუსხის ფარგლებში უწყისის გენერირება და ხელფასის დარიცხვა;
- ხელფასების ნაწილში ბუღალტრული მთავარი წიგნის გენერირება;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში გაფორმებული ტენდერის სისტემაში რეგისტრაცია;
- ორგანიზაციის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში საჭირო დოკუმენტების რეგისტრაცია და თანხის გადარიცხვა.

სისტემის ხაზინის მხარეს ხდება მხარჯავი დაწესებულების მიერ ინიცირებული ოპერაციების პროცესირება, სახელმწიფოში შემოსავლების აღრიცხვა და მართვა, სისტემაში არსებული სხვადასხვა სახის კლასიფიკატორის მართვა და სახელმწიფო ხაზინის მუშაობის ადმინისტრირება.

eDMS - სახელმწიფო ვალის და საინვესტიციო პროექტების მართვის სისტემა

სისტემა წარმოადგენს სახელმწიფო საშინაო ვალისა და სესხის მართვის ავტომატიზაციისთვის საჭირო ინსტრუმენტების კრებულს. მისი მიზანია ერთ ადგილას მოუყაროს თავი სახელმწიფო სესხზე, ვალზე და გრანტებზე არსებულ ყველა სახის მონაცემებს, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელი იქნება სანდო და სრული ფინანსური ინფორმაციის მიღება.

eDMS - სისტემის მოდულები:



სისტემის ინტეგრაციამ eBudget-ის და eTreasury-ის სისტემებთან გაამარტივა რიგი პროცესების მართვა, მათ შორის:

- ფასიანი ქაღალდების აუქციონის მომსახურება, რომლის ფარგლებში ავტომატურად ხდება გადასახდელი მოთხოვნის გენერირება;
- ჩატარებული აუქციონის დეტალების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ავტორიზებული პიროვნებებისთვის;
- ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესი საგარეო დაფინანსების კუთხით;
- მიზნობრივი გრანტების აღრიცხვა და შესაბამისი უწყებების ინფორმირება.

სისტემაში რეალიზებული მძლავრი ფინანსური ინსტრუმენტები საშუალებას იძლევა:

- მოხდეს სესხის ამორტიზაციის გრაფიკის გამოთვლა ძირითადი თანხის 5 განსხვავებული მეთოდის და ინტერესის ცვალებადი პროცენტის მეშვეობით;

- მოხდეს სესხის მომსახურების სავარაუდო გრაფიკის შემუშავება და რეალური მონაცემების შევსების მომენტში მისი ავტომატური განახლება;
- ფასიანი ქაღალდების წლიური კალენდრის შედგენას და მასში შეტანილი ცვლილებების არქივის შენახვას;
- მოხდეს ხუთი განსხვავებული ტიპის ფასიანი ქაღალდის (მათ შორის ევრობონდის) აღრიცხვა და მათი შესაბამისი ამორტიზაციის გრაფიკის გენერირება;
- მოხდეს ჯარიმის დარიცხვა მოხერხებული ფუნქციონალის გამოყენებით;
- სხვადასხვა სახის ფინანსური ოპერაციების განხორციელების საშუალებას, მათ შორის, კაპიტალიზაციას და რესტრუქტურიზაციას.

გარდა ფინანსური ინფორმაციისა, სისტემა ასევე იძლევა საშუალებას დეტალურად აღიწეროს საერთაშორისო პროგრამების ძირითადი საპროექტო ინფორმაცია (მაგ. პროექტში ჩართული კონტრაქტორები, პროექტის მიზნები, მნიშვნელოვანი შეთანხმებები და შესაბამისი დოკუმენტები და ა.შ.) და მასში შესული ცვლილებები.

სისტემაში რეალიზებული ადმინისტრირების მოდული მომხმარებლებს აძლევს სისტემის სხვადასხვა კლასიფიკატორების და ფუნქციონალის ადმინისტრირების საშუალებას, რასაც მინიმუმამდე დაყავს დამატებითი ჩარევის აუცილებლობა. ამ ეტაპზე, სისტემაში დინამიზირებულია და მომხმარებლის სრულ კონტროლზეა:

- ფასიანი ქაღალდების აუქციონის ვადიანობები;
- ცვალებადი პროცენტის ტიპები;
- საგარეო პროექტზე არსებული ყველა კლასიფიკატორი.

eDMS - სისტემის უპირატესობებია:

- ფინანსური ანგარიშგების შედგენისთვის დახარჯული დროის მნიშვნელოვანი ეკონომია;
- მონაცემების არასწორად შეტანის ალბათობის შემცირება;
- სწორი გადაწყვეტილების დროულად მიღების ოპტიმიზება.

eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა

სისტემა წარმოადგენს ქვეყნის მასშტაბით საჯარო სექტორში დასაქმებული ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვის უზრუნველყოფას, რომელიც ინტეგრირებულია PFMS-თან ხელფასის და მივლინების ფუნქციონალის მეშვეობით. ინტეგრაციის შედეგად ხდება მონაცემების მყისიერი ასახვა და შემდგომი პროცესირება PFMS-ის ნაწილებში. ამასთანავე, სისტემა არის მარტივი, მოქნილი და მომხმარებლისთვის ადვილად მოხმარებადი. სისტემის მიზანია უზრუნველყოს ადამიანური რესურსების ელექტრონული მართვა შემუშავებული პოლიტიკისა და სტანდარტების შესაბამისად.

eHRMS - სისტემის მოდულები:



სისტემის მიმდინარე ვერსია იძლევა საბაზო საკადრო ადმინისტრაციის ფუნქციების ავტომატიზების საშუალებას; ასევე რეალიზებულია შემდეგი ფუნქციები:

- **თანამშრომლების შესახებ სრულყოფილი, მუდმივად განახლებადი ელექტრონული ინფორმაციის არსებობა:** სისტემა მოიცავს თითოეულ თანამშრომელზე მონაცემების საცავს, რაც, თავის მხრივ, შეიცავს შემდეგი სახის მონაცემებს: პირის საკონტაქტო ინფორმაციას და მისამართს; ინფორმაციას პირის სამუშაო სტაჟის შესახებ; ოპერაციებს პირის მიმდინარე დანიშვნების შესახებ; დამატებით ინფორმაციას პირის უნარ-ჩვევების, უცხოური ენების ცოდნის, ზოგადი/უმაღლესი/პროფესიული განათლების, ოჯახის წევრების, მიმაგრებული ინვენტარის და სამსახურის კუთვნილებაში არსებული ავტომანქანის შესახებ; წახალისების და დისციპლინური პასუხისმგებლობის ბრძანებების შესახებ; პირზე არსებული სხვადასხვა ტიპის ანაზღაურებების შესახებ; სხვადასხვა საჭირო თანდართულ საბუთებს.
- **თანამშრომლის დასწრების აღრიცხვა:** თითოეულ თანამშრომელზე ხორციელდება ინფორმაციის წარმოება ყოველდღიური დასწრება/გაცდენების შესახებ.

- **ავტომატური შეტყობინებების გენერირების ფუნქციონალი:** სისტემა ახორციელებს როგორც ავტომატური სახის შეტყობინებების გენერირებას, ასევე მომხმარებლის მიერ შექმნილი შეტყობინებების დაფიქსირებას.
- **ორგანიზაციული სტრუქტურის და საშტატო ერთეულების მართვა:** ფუნქციონალი მოიცავს სხვადასხვა სახის მახასიათებლებსა და საშტატო ნუსხისათვის დამახასიათებელი ოპერაციების მართვას, როგორიც არის ორგანიზაციის სტრუქტურის და თანამდებობების აწყობა, რედაქტირება, წაშლა და რეორგანიზაცია.
- **სტატისტიკური ინფორმაციის გენერირება:** სისტემის სხვადასხვა მოდულში რეალიზებულია სხვადასხვა სახის სტატისტიკური მაჩვენებლები სტრუქტურის, თანამდებობების, თანამშრომლების თუ სხვა სახის მახასიათებლების მიხედვით.
- **ანგარიშგებების მექანიზმი:** სისტემა მოიცავს ორი სახის ანგარიშგებების ფუნქციონალს - დინამიურს და სტატიკურს, რაც მომხმარებელს აძლევს საშუალებას გამოიყენოს როგორც მზა ფორმის ანგარიშგებები, ასევე თვითონ განახორციელოს სასურველი მონაცემებით და პარამეტრებით ანგარიშგების გენერირება.
- **თანამშრომლის მივლინებების რეესტრი:** მოდული მოიცავს მონაცემებს ორგანიზაციაში წარმოებული მივლინებების ბრძანებების შესახებ.
- **პერსონალის ხელფასის უწყისის რეესტრი:** მიმდინარე ფუნქციონალში შესაძლებელია სახელფასო უწყისების მართვა.
- **კლასიფიკატორთა მართვა:** სისტემა მოიცავს კლასიფიკატორთა დიდ სიმრავლეს, რომელიც გამოიყენება სისტემის სხვადასხვა ფუნქციონალში. კლასიფიკატორთა სიმრავლე იძლევა მონაცემთა დაჯგუფების და ფილტრაციის მრავალფეროვნების საშუალებას.

ამჟამად, მიმდინარეობს მუშაობა სამუშაო აღწერილობების ფუნქციონალზე და ინტეგრაციის საკითხებზე. კერძოდ, დაგეგმილია სახელფასო და მივლინების მოდულების ინტეგრაცია ხაზინის ელექტრონულ სისტემასთან (eTreasury), ხოლო ბრძანებების მოდულის ინტეგრაცია საქმისწარმოების ავტომატიზებულ სისტემასთან (eDocument). მომხმარებელს ექნება საშუალება უწყისის ინიციირება განახორციელოს eHRMS სისტემაში და შემდეგ გადააგზავნოს ხაზინის ელექტრონულ სისტემაში.

ePassport - მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემა

მომხმარებლებისა და უფლებების ერთიანი ელექტრონული სისტემა გამოიყენება **საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში (PFMS)** შემავალ პროექტებზე წვდომის უზრუნველყოფისთვის.

სისტემა მნიშვნელოვნად ამარტივებს მომხმარებლებისა და მათი სისტემური უფლებების მართვას შემდეგი გარემოებების გამო:

- PFMS პროექტები თავმოყრილია ერთიან საავტორიზაციო სისტემაში. არსებობს ავტორიზაციის ცენტრალური წერტილი, საიდანაც მომხმარებელს შეუძლია მიიღოს წვდომა სისტემების იმ კომპონენტებთან, სადაც ის არის დაშვებული;
- PFMS პროექტების უფლებები და როლები თავმოყრილია ერთ სისტემაში. შესაძლებელია PFMS პროექტების ვიზუალურ და სისტემურ კომპონენტებთან წვდომის კონტროლის სქემების ცენტრალიზებული მართვა. ორგანიზებულია უკუკავშირიც, PFMS წარმოადგენს მონაცემთა პროვაიდერს ePassport-ისათვის. უფლება შეიძლება განსაზღვრული იყოს კონკრეტული სისტემის მონაცემთა ერთეულზე;
- PFMS მომხმარებლების სია არის ერთ სისტემაში, მომხმარებელთა მართვა შესაძლებელია ცენტრალიზებული კონსოლიდან;
- გამოიყენება უსაფრთხოების დამატებითი საშუალებები, როგორიცაა დიჯიპასი[3] და სმარტ-ბარათები (მაგალითად ელექტრონული პირადობის მოწმობა ან კორპორატიული საშვი).

eAuction.ge - ელექტრონული აუქციონი

eAuction.ge წარმოადგენს ელექტრონული ყიდვა-გაყიდვის უნიკალურ სისტემას საქართველოში, რომელიც პირველ რიგში შეიქმნა ფინანსთა სამინისტროს საფინანსო ანალიტიკური სამსახურის და ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ინიციატივით იმისათვის, რომ მომხდარიყო სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ან მიქცეული ქონების განკარგვა აუქციონის წესით. 2010 წლის მარტიდან აღნიშნული წესით ხდება უძრავი თუ მოძრავი ქონების გასხვისება კანონის შესაბამისად. დღეისათვის ნებისმიერს შეუძლია სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად, მისთვის კომფორტულ გარემოში, შეიძინოს როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო საკუთრებაში არსებული ქონება.

მიმდინარე ვებ-პორტალი წარმოადგენს მეორე ვერსიას, რომელიც ექსპლოატაციაში გაეშვა 2012 წლის 4 ოქტომბერს.

ძირითადი უპირატესობები და სისტემის შესაძლებლობები:

სახლიდან გაუსვლელად ან ოფისიდან ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეუძლია განათავსოს საკუთარი ქონება გასაყიდად და ასევე ივაჭროს სასურველ ლოტზე.

ელექტრონული აუქციონის პორტალი გაიყო ფიზიკურად ორ - Back (ადმინისტრირების მოდული) და Front (მომხმარებლის მხარე) ნაწილად. ამასთან დაკავშირებით დაინერგა ავტორიზაციის ისეთი აპრობირებული უსაფრთხო მეთოდი, როგორიც არის „დი-ჯი-პას ავტორიზაცია“, ანუ სერვისი მოიცავს სისტემაზე წვდომას ერთჯერადი კოდის გამოყენებით.

[3] ერთჯერადი კოდების მაგენერირებელი გასაღები

ამავე სერვისის ფარგლებში ავტორიზაცია ადმინისტრირების ნაწილში დაშვებულია პირადი ნომრის გამოყენებით.

ჩამოყალიბდა პორტალის უსაფრთხოების გაუმჯობესების ამოცანა. უსაფრთხოებასთან დაკავშირებით გატარდა შესაბამისი ტექნიკური და ანალიტიკური სამუშაოები. ასევე, ხორციელდება ყველა კრიტიკული ოპერაციის მონაცემების სრული ლოგირება, რომელიც ხორციელდება როგორც მომხმარებლების, ისე ადმინისტრირების მოდულის მხარეს. ლოგირება შეიცავს შემსრულებელზე მთლიან ინფორმაციას პლიუს ქსელურ მონაცემებს განხორციელებული ადგილიდან (IP-მისამართი, ოპერაციული სისტემა, ბროუზერის ტიპი და ვერსია).

შემუშავდა ვებ-სერვისი, რისი საშუალებითაც პარტნიორ ორგანიზაციებს (*აღსრულების ეროვნული ბიური, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო* და სხვა დაინტერესებული მხარეები) მიეცათ საშუალება, ელექტრონული აუქციონის პორტალზე განათავსონ ლოტები სხვა ელექტრონული სისტემებიდან; ასევე დამატებით მიიღონ შესაბამისი რეპორტინგი შედეგებზე.

განხორციელდა *სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს* კორპორატიული მართვის საინფორმაციო სისტემის ელ.აუქციონთან სატესტო რეჟიმში ინტეგრაცია, კერძოდ სააგენტოს მართვის საინფორმაციო სისტემაში შეყვანილი ინფორმაციის ლოტად განთავსება ელექტრონულ აუქციონზე.

პორტალები, ვებ-გვერდები

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდების მართვის სისტემის მოდერნიზება

შემუშავდა ვებ-გვერდების მართვის განახლებული სისტემა, დაემატა ახალი და განახლდა არსებული მოდულები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ხაზინის პორტალი

შემუშავდა პორტალი *სახელმწიფო ხაზინის* სტატისტიკური მონაცემების შენახვისა და გავრცელებისასთვის https://portal.treasury.ge/.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის ახალი ვებგვერდი - www.treasury.ge

მოხდა *ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის* ვებგვერდის ახალი ვერსიის შექმნა, რის შედეგადაც გვერდის მართვა გახდა უფრო მოსახერხებელი და გაიზარდა გვერდის დაცულობის ხარისხი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ - შემოსავლების სამსახურის ალტერნატიულ აუდიტში ჩართვის მსურველი კანდიდატებისათვის რეგისტრაციის და ტესტირების შედეგების აღრიცხვის ვებაპლიკაცია -

http://www.mofacademy.ge/internship

ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან ერთად შეიქმნა ალტერნატიულ აუდიტში ჩართვის მსურველი კანდიდატებისათვის რეგისტრაციის და ტესტირების შედეგების აღრიცხვის ვებაპლიკაცია, რომლის მეშვეობით რეგისტრირებული კანდიდატები მიიღებენ ინფორმაციას ტესტირების ჩატარებისა და შედეგების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსისთვის რეგისტრაციის ვებაპლიკაცია -

http://www.is.ge/RegistrationInternship

აპლიკაციის მეშვეობით მიმდინარეობს სტაჟირების მსურველთა ონლაინ-რეგისტრაცია, მათი შემდგომი ინფორმირება ტესტირებისა და გასაუბრების შედეგების შესახებ.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს ვებგვერდი - www.taxdisputes.gov.ge

შემუშავდა *ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭოს* სრულიად ახალი ვებგვერდი და საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნების მოდული, სადაც მიღებული გადაწყვეტილებები გამოქვეყნდება დავის სუბიექტის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გარეშე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ახალი ვებგვერდი

http://is.ge/

შემუშავდა *ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის* ახალი ვებგვერდი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ტესტირების სისტემა

შემოსავლების სამსახურში დაინერგა ტესტირების სისტემა testing.rs.ge, რომლის მეშვეობით შემოსავლების სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის სამმართველო ელექტრონული ტესტირებით შეაფასებს კონკურსებსა და სტაჟირების პროგრამების გავლის მსურველ პირებს.

ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა (VIMS –Vehicle Inventory Management System)

http://vims/default.aspx

2013 წლის მარტიდან შეიქმნა ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვისა და კონტროლის სისტემა, რომლის გამოყენებით ხდება *ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის, საგამოძიებო სამსახურის, სახაზინო სამსახურის* ავტოტექმომსახურების ხარჯების აღრიცხვა და კონტროლი. ეს სისტემა ამარტივებს სამუშაო პროცესს, უფრო ადვილად ხდება შესრულებული სამუშაოს აქტების შედარება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთა ცხრილთან, ორგანიზებულად აღრიცხულია მანქანები, მომსახურების ფასები, ხელშეკრულებები, სერვის-ცენტრები, შესრულებული სამუშაოები, სათადარიგო ნაწილებისა და მომსახურების საგარანტიო მონაცემები, მანქანის ბარათი (მანქანაზე გაწეული მომსახურების ჩამონათვალი).

VIMS სისტემა არის ვებ-აპლიკაცია და გაკეთებულია SharePoint-ის გარემოში.

ამჟამად VIMS სისტემაში აღრიცხულია სამას თვრამეტი მანქანა.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანიშნულებაა მერქნული რესურსების მოძრაობის წესების გამარტივება და მერქნული რესურსების პირველადი გადამუშავების ობიექტების კონტროლი საქართველოს ტერიტორიაზე, აგრეთვე რესურსების აღრიცხვა და ანალიზი.

ორგანიზაციებს, ან მერქნული რესურსებით დაინტერესებულ პირებს, თავისი საქმიანობიდან გამომდინარე, საშუალება ეძლევათ ელექტრონული სახით წარადგინონ შესაბამისი დოკუმენტები, განახორციელონ ოპერაციები, მიიღონ ინფორმაცია.

eNRMS - სისტემის მოდულები:



სისტემა შედგება ორი ნაწილისგან - მერქნული რესურსების მართვის სისტემისა და ლიცენზიანტის პორტალისაგან. მერქნული რესურსების მართვის სისტემაში ხდება ტყეკაფების რეგისტრაციისა და სოციალური ჭრის მართვა. მოქალაქეებს აქვთ საშუალება საბანკო დაწესებულებაში მარტივად მიიღონ დამზადების ბილეთი, გადაიხადონ მოსაკრებლის, მომსახურების საფასურის თანხები და განახორციელონ შეშის დამზადება. ლიცენზიანტის

პორტალის საშუალებით ლიცენზიანტებს აქვთ საშუალება წარადგინონ ანგარიშგების ფორმები რეალურ დროში, დაარეგისტრირონ ტყეკაფები და შეიტანონ საჭირო ინფორმაცია.

სისტემის უპირატესობები:

- მოსახლეობისთვის მერქნული რესურსების მიღების პროცედურების სიმარტივე;
- დროის დაზოგვა და ფინანსური ხარჯების მნიშვნელოვანი შემცირება;
- დოკუმენტების წარდგენის პროცესის სიმარტივე;
- კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესება.

eDocument – საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა

სისტემის მიზანია საქმისწარმოების პროცესების მაქსიმალური გამარტივება, ხელმისაწვდომობა და კომპიუტერიზაცია. იგი უზრუნველყოფს საოფისე დოკუმენტაციის ეფექტიან ელექტრონულ მართვას, აგრეთვე საჭირო დოკუმენტებსა და დავალებებზე სწრაფ წვდომას. სისტემის საშუალებით მარტივად ხორციელდება დავალებების, მათზე რეაგირებისა და სხვა ორგანიზაციული საკითხების მუდმივი მონიტორინგის პროცესი.

სისტემა დანერგილია ფინანსთა სამინისტროს უწყებებში და 22 სხვა სახელმწიფო ორგანიზაციაში.

სამინისტროს ცხელი ხაზის - 1551 განვითარება

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში ამჟამად არსებული სატელეფონო ცენტრი უწევს კომპლექსურ მომსახურებას სერვისების მომხმარებლებს, იღებს მომართვებს ტექნიკური მხარდაჭერის მიღების მოთხოვნით, უწევს კონსულტაციებს სამსახურის მიერ შემუშავებული ელექტრონულ მართვის სისტემებში სწორად მუშობის შესახებ. არსებული სისტემების და მომხმარებელთა რაოდენობის პერმანენტული ზრდა, სატელეფონო ცენტრისადმი ახალი მოთხოვნების წარმოშობა, სატელეფონო ცენტრის მომსახურების გავრცელება საჭიროებს სატელეფონო ცენტრის გაფართოებას, პროცესების სრულად გამართვას და არსებული ინფრასტუქტურის განახლებას.


მოქალაქეები
გადასახადის გადამხდელები
მხარჯავები
ცხელი ხაზი
1551
24/7
ინფორმაციის მართვა და მონიტორინგი
დახარისხებული და განაწილებული მომართვები
ცენტრალური აპარატი
სახაზინო სამსახური
საგამოძიებო სამსახური
შემოსავლების სამსახური
ფინასთა სამინისტროს აკადემია
საფინანსო - ანალიტიკური სამსახური
მომსახურების საგენტო
გამოყოფილი პასუხისმგებელი პირები, მენეჯერები

VIII. მიზნები, აქტივობები და შედეგები



მიზანი 1: ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, მათი მდგრადი, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა

შესასრულებელი ამოცანები

<u>ამოცანა 1.1.</u> კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემის დანერგვა.

MS System Center Configuration Manager დანერგვა. სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს კონფიგურაციების, მოწყობილობების, ლიცენზიების და ოპერაციული სისტემების ავტომატური ინვენტარიზაცია, ინსტალაცია და უწესრიგობების აღმოფხვრა.

<u>ამოცანა 1.2.</u> ერთიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა.

MS System Center Operations Manager დანერგვა. სისტემა ახდენს სერვისების მონიტორინგის, შეტყობინებების სისტემის და წარმადობის კონტროლის პროცესების ავტომატიზებას და ვიზუალიზებას.

<u>ამოცანა 1.3.</u> მომსახურების მიწოდების, ესკალაციის სისტემის მულტიარხიანი სისტემის დანერგვა.

MS System Center Service Manager დანერგვა. სისტემა საშუალებას იძლევა მოხდეს ინციდენტის გახსნის, დოკუმენტირების, ესკალაციის და გადაწყვეტის პროცესების ავტომატიზება.

<u>ამოცანა 1.4.</u> IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელის განვითარება.

სერვისების მიწოდების თანამედროვე ღრუბლოვანი სისტემის (private cloud) განვითარება. VMWare vCloud-ის მეშვეობით IaaS (ინფრასტრუქტურა როგორც სერვისი) მიეწოდება როგორც შიდა (PFMS-ზე მომუშავე პროგრამისტთა ჯგუფები), ისე გარე მომხმარებლებს.

<u>ამოცანა 1.5.</u> ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა.

ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის, სტანდარტების, სახელმძღვანელოების და ტექნიკური ინსტრუმენტების დანერგვა უზრუნველყოფს ბიზნეს-უწყვეტობას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, კონფიდენციალობას და მთლიანობას.

<u>ამოცანა 1.6.</u> თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება.

სამსახურის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ტრენინგების სამწლიანი პროგრამა, რომელიც სამსახურის მუშაობის ძირითად მიმართულებებს მოიცავს. ტრენინგების მიზანია სპეციალისტების და მენეჯმენტის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება და თანამშრომელთა შესაბამისი სერტიფიცირება.

<u>ამოცანა 1.7.</u> სარკული მონაცემთა ცენტრის ფორმირება: Active-active

Active-active რეჟიმი საშუალებას იძლევა გამოყენებულ იქნეს მონაცემთა სარეზერვო ცენტრში განთავსებული სერვერული სიმძლავრეები და პრაქტიკულად ნულამდე იყოს დაყვანილი სერვისის წყვეტის დრო საგანგებო სიტუაციებისას (ერთი მონაცემთა ცენტრის გათიშვისას).

ამოცანა 1.8. სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის მოდერნიზება და გაძლიერება.

სისტემის წარმადობის გაზრდა (ქსელური, მონაცემთა შენახვის და სერვერული) უნდა მოხდეს მუდმივად ზრდადი ამოცანებისა და დატვირთვების სინქრონულად, რათა არ გაუარესდეს ქვეყნის ფინანსური სისტემის ოპერირების ხარისხი.

ამოცანა 1.9. ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის დაგეგმვა

ფინანსთა სამინისტროს ახალი მონაცემთა ცენტრი უნდა შეესაბამებოდეს კრიტიკული ბიზნეს-ამოცანებისათვის განსაზღვრულ საერთაშორისო სტანდარტს Tier-3.

განსახორციელებელი აქტივობები

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
ამოცანა 1.1.: კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემის დანერგვა (MS System Center Configuration Manager)	1. კონფიგურაციების და ტოპოლოგიის ვიზუალიზაცია	2014
	2. პროგრამული უზრუნველყოფის და სისტემების ავტომატური დანერგვა	2014
	3. კონფიგურაციის მასშტაბირებადი ცვლილებები	2014
ამოცანა 1.2.: ერთიანი მონიტორინგის სისტემის შემუშავება და დანერგვა (MS System Center Operations Manager)	1. ჰეტეროგენულ სისტემებში რესურსების ერთიანი მონიტორინგის სისტემის დანერგვა	2014
	2. SLA-ს შესრულების კონტროლი	2014
	3. დაგეგმვის და გადანაწილების ფუნქციები	2014
ამოცანა 1.3.: მომსახურების მიწოდების, ესკალაციის სისტემის მულტიარხიანი სისტემის დანერგვა (MS System Center Service Manager)	1. ოპერაციულ დეპარტამენტთან ერთად ინციდენტების და პრობლემების მართვის ერთიანი სისტემის დანერგვა	2015
	2. ინციდენტის გახსნის, დოკუმენტირების, ესკალაციის და გადაწყვეტის პროცესების ავტომატიზაცია	2015
	3. ერთიანი ცოდნის მენეჯმენტის ბაზის შექმნა	2015
ამოცანა 1.4.: IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელის განვითარება	1. სერვისების მიწოდების თანამედროვე ღრუბლოვანი სისტემის (private cloud) განვითარება	2015
	2. VMWare vCloud-ის მეშვეობით IaaS (ინფრასტრუქტურა როგორც სერვისი) მიწოდება როგორც შიდა, ისე გარე მომხმარებლებისათვის	2015
ამოცანა 1.5.:	1. უსაფრთხოების პოლიტიკის, პროცედურების და სტანდარტების დანერგვა	2015

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის დანერგვა</u>	2. ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკის გავრცელების სფეროების დადგენა ბიზნეს-პროცესებისა და სტრუქტურული ერთეულების მიხედვით	2015
	3. ინფრასტრუქტურული, ქსელური და პროგრამული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის დასრულება	2014
	4. მონაცემთა გაჟონვის საწინააღმდეგო, მონაცემთა ბაზების დაცვის სისტემის დანერგვა და უსაფრთხოების მენეჯმენტის ერთიან სისტემაში ჩართვა	2014
<u>ამოცანა 1.6.: თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება</u>	1. ტრენინგები დეპარტამენტების მენეჯმენტისათვის და პროექტის მენეჯერებისათვის: - ITIL Intermediate Courses - Cobit - IT პროექტების მენეჯმენტი - Prince2 - ინფორმაციული უსაფრთხოება - CISM, CISSP, CISO	2014 - 2015
	2. ტრენინგები სისტემური ადმინისტრატორებისათვის: - ბიზნეს-კრიტიკული სერვერების და მონაცემთა შენახვის მართვა - ინფორმაციული უსაფრთხოება - CEH, ENSA, EDRP, ENSA - Microsoft System Center - პროცესების და ინფრასტრუქტურის მართვის სისტემები	2014 - 2015
	3. ტრენინგები სისტემური ადმინისტრატორებისათვის: - Oracle, SQL მონაცემთა ბაზების ანალიტიკა, რეპორტინგი	2014 - 2015
	4. ტრენინგები მხარდაჭერის, ტესტირების და დანერგვის სპეციალისტებისათვის: - სამომხმარებლო ოპერაციული სისტემები - ტესტირების ტექნოლოგიები	2014 - 2015
<u>ამოცანა 1.7.: სარკული მონაცემთა ცენტრის ფორმირება: Active-active</u>	1. ძირითადი და სარკული მონაცემთა ცენტრების active-active რეჟიმის არქიტექტურის შექმნა	2014 – 2015
	2. ტექნიკური მოწყობილობების და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა	2014 – 2015
	3. მონაცემთა ცენტრების active-active რეჟიმში ამუშავება და ექსპლოატაციაში გაშვება	2014 – 2015

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>ამოცანა 1.8.: სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია და გაძლიერება</u>	1. მონაცემთა შენახვის სისტემების წარმადობის და მოცულობის გაზრდა, ბლეიდ პლატფორმის საერთო სიმძლავრის გაზრდა	2014 - 2015
	2. მონაცემთა სარეზერვო კოპირების თანამედროვე, ვირტუალურ გარემოზე მორგებული, დედუპლიკაციის ფუნქციის მქონე სისტემის დანერგვა	2014 - 2015
	3. ქსელური სისტემის წარმადობის და ეფექტურობის გაზრდა ცენტრალური კომუტატორის ვირტუალური გადართვის მექანიზმის დანერგვით	2014 - 2015
<u>ამოცანა 1.9.: ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის დაგეგმვა</u>	1. ახალი მონაცემთა ცენტრის პროექტირება და მშენებლობა Tier-3 სტანდარტის შესაბამისად	2014 - 2016

პარტნიორი ორგანიზაციების როლი: საერთაშორისო კომპანიების - Microsoft, VMware, EMC კონსულტაცია ოპტიმალური კონფიგურაციებისა და ბიზნეს-პროცესების დანერგვაში.

აუცილებელი პირობები: სამსახურის ბიუჯეტში გათვალისწინებული შესაბამისი დაფინანსება.

მოსალოდნელი შედეგები/შესრულების ინდიკატორები

მიზანი 1: ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების, მათი მდგრადი, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფა	ბიზნეს-პროცესები ხორციელდება ITIL სტანდარტების შესაბამისად; ინფრასტრუქტურის სიმძლავრე და მდგრადობა შეესაბამება კრიტიკული სისტემების მოთხოვნებს; დანერგილია უსაფრთხოების პოლიტიკა
შედეგი	**ინდიკატორი**
შედეგი 1.1.: დანერგილია კონფიგურაციის და სიმძლავრეების მართვის სისტემა (MS System Center Configuration Manager)	1.1.1. კომპიუტერების კონფიგურაციის მართვა და ინვენტარიზაცია ავტომატიზებულია MS SCCM ბაზაზე
	1.1.2. გამართულია რეპორტინგის სისტემა MS SCCM ბაზაზე
შედეგი 1.2.: შემუშავებულია და დანერგილია ერთიანი მონიტორინგის სისტემა (MS System Center Operations Manager)	1.2.1. შექმნილია სერვისების დინამიური მოდელები
	1.2.2. ფუნქციონირებს შეტყობინებების სისტემა დადგენილი პარამეტრების შესაბამისად
	1.2.3. განსაზღვრულია და იზომება SLA პარამეტრები, KPI მეტრიკები
შედეგი 1.3.: დანერგილია მომსახურების მიწოდების, ესკალაციის სისტემის	1.3.1. ინციდენტების და მოთხოვნების მართვა ხორციელდება MS SCSM ბაზაზე

მულტიარხიანი სისტემის (MS System Center Service Manager)	1.3.2. გამართულია ესკალაციის პროცედურები
	1.3.3. პრობლემების მენეჯმენტი ხორციელდება MS SCSM ბაზაზე
შედეგი 1.4.: განვითარებულია IT სერვისის მიწოდების ღრუბლოვანი მოდელი	1.4.1. გამართულია და ფუნქციონირებს VMware vCloud ინფრასტრუქტურა
შედეგი 1.5.: დანერგილია ინფორმაციული უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტი	1.5.1. განსაზღვრულია ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკების გავრცელების არეალი
	1.5.2. მიმდინარეობს რისკების მენეჯმენტის და უსაფრთხოების პოლიტიკების გათვალისწინება ოპერაციების მენეჯმენტსა და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების პროცესში
	1.5.3. გამართულია ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტების მართვის პროცესი McAfee ePO-ს ბაზაზე
შედეგი 1.6.: ჩატარებული ტრენინგების შედეგად ამაღლებულია თანამშრომელთა კვალიფიკაცია	1.6.1. შესაბამისი ტრენინგების ციკლი გავლილი აქვს თანამშრომლებს, ჩატარებულია ტესტირება, 70% სერტიფიცირებულია
შედეგი 1.7.: ფორმირებულია სარკული მონაცემთა ცენტრი: Active-active	1.7.1. ვირტუალიზებულია მონაცემთა შენახვის სისტემა, ორივე მონაცემთა ცენტრი აქტიურ რეჟიმში ფუნქციონირებს
შედეგი 1.8.: მოდერნიზებული და გაძლიერებულია სერვერული, ქსელური და მონაცემთა შენახვის ინფრასტრუქტურა	1.8.1. განახლებულია Blade სერვერული ინფრასტრუქტურა, 1.5-ჯერ გაზრდილი წარმადობით
	1.8.2. მონაცემთა შენახვის სისტემების მოცულობა გაზრდილია 30 TB-ით, წარმადობა გაზრდილია 1.5-ჯერ
	1.8.3. ქსელური სისტემები გადაყვანილია 10 GB ინტერფეისებზე
შედეგი 1.9.: შემუშავებულია ძირითადი მონაცემთა დამუშავების ახალი ცენტრის პროექტი	1.9.1. ჩატარებულია გათვლები, მომზადებულია პროექტი და ხარჯთაღრიცხვა

მიზანი 2: ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, განვითარება, მხარდაჭერა, მდგრადობისა და უსაფრთხოების სრულყოფა

შესასრულებელი ამოცანები

<u>ამოცანა 2.1.</u> eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

- არსებული ფუნქციონალის დახვეწა-განვითარება მოდელირებისა და მონაცემთა ანალიზის ახალი მექანიზმების შემუშავების გზით;
- სისტემის გარეთ დარჩენილი საბიუჯეტო პროცესების ავტომატიზაცია ახალი მოდულების დამატების გზით;
- PFMS ფარგლებში სხვა სისტემებთან ინტეგრაციის გაღრმავება.

<u>ამოცანა 2.2.</u> eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

- ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდიდან დარიცხვის მეთოდზე სრულად გადასვლა;
- სისტემის გარეთ დარჩენილი პროცესების ავტომატიზაციის მიზნით დამატებითი მოდულების შემუშავება;
- დამტკიცებული რეფორმების ფარგლებში სისტემის პროცესებისა და სისტემის შესაბამისი მოდულების ცვლილება ან ახლის დამატება.

<u>ამოცანა 2.3.</u> eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

ყველა არსებული ელექტრონული სისტემის გაერთიანება საშუალებას მისცემს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფოს მიერ აღებულ საგარეო და საშინაო ვალზე არსებულ ყველა სახის ინფორმაციას თავი მოუყაროს ერთ „ადგილას“. ამის შედეგად მოხდება ინფორმაციის აღრიცხვისა და მართვის გამარტივება და გაუმჯობესება, ხოლო ფინანსური მოდელირების ფუნქციონალის გამოყენებით შესაძლებელი იქნება ინფორმაციის სხვადასხვა ჭრილში დანახვა, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

<u>ამოცანა 2.4.</u> eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

სამომავლო გეგმებში შედის შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და განვითარების მართვის მოდულების რეალიზება. ასევე სისტემას დაემატება მომხმარებლის მოდული (self-service), რაც საშუალებას მისცემს თითოეულ თანამშრომელს მართოს საკუთარი მონაცემები და განახორციელოს ინფორმაციის გაცვლა კადრების დანაყოფების თანამშრომლებთან.

ზემოთ აღწერილი მოდულების რეალიზება მომხმარებელს მისცემს საშუალებას სრულად განახორციელოს ადამიანური რესურსების მართვის შესაბამისი ოპერაციები სისტემის მეშვეობით, რაც გაამარტივებს და გაუმჯობესებს პროცესებს.

განსახორციელებელი აქტივობები

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>ამოცანა 2.1.: eBudget - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება</u>	1. მექანიზმების დამატება, რომლებიც გააადვილებს ბიუჯეტის ანალიზს (მონაცემების შედარებითი ანალიზი, მოდელირების ხელსაწყოები, ისტორიული მონაცემების ანალიზი, კომპლექსური ანგარიშგების მექანიზმი)	2014 - 2015
	2. ბიუჯეტის დაგეგმარების პროცესის ავტომატიზება თვითმმართველი ერთეულებისთვის (ადგილობრივი მთავრობები, ავტონომიური რესპუბლიკები) და მათი სახელმწიფო ბიუჯეტთან კონსოლიდირების მექანიზმის შემუშავება	2014 - 2016
	3. დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში სსიპ-ებისა და ააიპ-ების ბიუჯეტების მართვის მოდულის ფუნქციონალში ცვლილებების შეტანა	2014 - 2015
	4. ფუნქციონალის დამატება, რომლითაც მოხდება ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის ყველა საფეხურის მომზადება.	2015 - 2016
	5. ერთიანი მთავრობის შესრულების დოკუმენტის მოსამზადებელი ეტაპების შესაბამისი ფუნქციონალის შექმნა (საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებებიდან გამომდინარე)	2015 - 2016
	6. ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესის დელეგირება პირველი დონის მხარჯავ დაწესებულებების შიგნით	2015 - 2016
	7. გრძელვადიანი დაგეგმვის ფუნქციონალის შემუშავება	2016
	8. სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმარების სისტემის შემდგომი ინტეგრაციის გაღრმავება PFMS ქვეშ არსებულ სხვა სისტემებთან	2014 - 2016
<u>ამოცანა 2.2.: eTreasury - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის</u>	1. გადასახადის ერთიანი სახაზინო კოდის შემოღების რეფორმასთან დაკავშირებული ცვლილებების შეტანა	2014

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>დამატება</u>	2. შესყიდვების პროცესის მოდერნიზაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციების არაფინანსური აქტივების შესყიდვის ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვა - ანგარიშგების ავტომატიზაცია	2014 - 2015
	3. დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში სსიპ-ებისა და ააიპ-ების ფინანსური პროცესების ხაზინის სისტემაში ინტეგრირება	2014 - 2015
	4. დაგეგმილი რეფორმის ფარგლებში თვითმმართველი ერთეულების ფინანსური პროცესების ხაზინის სისტემაში ინტეგრირება	2014 - 2015
<u>ამოცანა 2.3.: eDMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება</u>	1. ამჟამად არსებული ყველა დანარჩენი საფინანსო სისტემის (DMFAS, DMNAT) ჩანაცვლება	2014
	2. ინტეგრაცია ეროვნულ ბანკთან ფასიანი ქაღალდების აუქციონის შედეგების ავტომატური აღრიცხვისთვის	2014
	3. დამატებითი ფინანსური ოპერაციების იმპლემენტაცია	2014
	4. ფინანსური მოდელირების მოდულის შემუშავება	2014 - 2015
<u>ამოცანა 2.4.: eHRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება</u>	1. მიმდინარე ამოცანების და ინტეგრაციის დასრულება	2014 - 2015
	2. შერჩევის, შეფასების, სწავლებისა და განვითარების მართვის მოდულების რეალიზება	2015 - 2016

პარტნიორი ორგანიზაციების როლი: PFMS განვითარების ფარგლებში აქტიურ მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები, რომელთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება საინფორმაციო სისტემებისადმი მოთხოვნები და ხორციელდება დეტალური ტექნიკური დავალების ფორმირება. PFMS განვითარება პირდაპირ კავშირშია დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებთან და მათი სტრატეგიული განვითარების გეგმებთან. ამ პროცესებში აქტიურ მხარდაჭერას საქართველოს მთავრობას უწევს დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციები. საფინანსო-ანალიტიკური სამსახური 2014-2016 წწ. გეგმავს გააქტიუროს საქმიანი თანამშრომლობა დონორებთანაც.

აუცილებელი პირობები: PFMS განვითარება დამოკიდებულია შემდეგ გარემოებებზე:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფა;

- შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის არსებობა;
- დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ნება.

მოსალოდნელი შედეგები/შესრულების ინდიკატორები

მიზანი 2: ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, განვითარება, მხარდაჭერა, მდგრადობისა და უსაფრთხოების სრულყოფა	
შედეგი	**ინდიკატორი**
შედეგი 2.1.: eBudget - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	2.1. ქვეყნის საჯარო ფინანსების მართვის სისტემის (PFMS) ახალი კომპონენტების დანერგვის, უკვე არსებული ქვესისტემების სრულყოფის ფაქტობრივი ვადების და რესურსების ხარჯვის შესაბამისობა დაგეგმილ ვადებთან; 2.2. საინფორმაციო სისტემებში ხარვეზების რაოდენობის და ავარიული გაჩერებების აღმოფხვრის დროის ჯამური წლიური მაჩვენებელი; 2.3. რეალიზებული ინფორმაციულ-ანალიტიკური სისტემების და ვებ-პროდუქტების ფუნქციონალის შესაბამისობა ფინანსთა სამინისტროს სისტემის ან სხვა სამთავრობო უწყებების მოთხოვნების ფუნქციონალურ სპეციფიკაციასთან; 2.4. სამსახურის მიერ 2014 წელს შემუშავებული და დანერგილი ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზაზე PFMS ზოგადი ტექნიკური მაჩვენებლები; 2.5. PFMS მიმართებაში ცხელი ხაზის 1551 საქმიანობის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები.
შედეგი 2.2.: eTreasury - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	
შედეგი 2.3.: eDMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	
შედეგი 2.4.: eHRMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	

მიზანი 3: მაღალი სტანდარტების და ხარისხის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, დანერგვა და შესაბამისი მომსახურება

შესასრულებელი ამოცანები

ამოცანა 3.1. eAuction - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

ელექტრონული აუქციონის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის და ოპტიმიზაციისათვის აუცილებელია გატარდეს როგორც გეგმიური ვიზუალური და ფუნქციონალური, ასევე უსაფრთხოების ამაღლების საკითხებთან დაკავშირებული სამუშაოები. იმისათვის რომ მომხმარებლისთვის აუქციონის პორტალის გამოყენება გახდეს კიდევ უფრო მოქნილი და მეტად გამარტივდეს ვაჭრობის პროცესი, იგეგმება სხვადასხვა მობილური პლატფორმებისათვის აპლიკაციების შემუშავება და ამანათების ადგილზე მიტანის სერვისის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.2. არსებული ვებგვერდების მხარდაჭერა და ახალი ვებგვერდების შექმნა.

ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული უწყებების ვებგვერდების შექმნა, განვითარება და მხარდაჭერა.

ამოცანა 3.3. კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა.

არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ვებსაიტების კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა. ვებსაიტების მართვის ძრავის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა.

ამოცანა 3.4. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვებსაიტების განახლებულ ძრავზე გადატანა.

არსებული ვებსაიტების გადატანა განახლებულ ძრავზე. ყოველი ახალი შემუშავებული საიტისთვის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ძრავის დახვეწა და ახალი მოდულების შემუშავება.

ამოცანა 3.5. სატელეფონო ცენტრის მოდერნიზება, ტექნიკური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება და მრავალი ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტური მხარდაჭერა.

ცხელი ხაზის მომსსახურების ახალი სტანდარტებით უზრუნველყოფა და მომხამარებლებისათვის შეუფერხებელი და მაღალხარისხიანი მომსახურების მიწოდების მხარდაჭერა.

ამოცანა 3.6. სამსახურის პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება.

2014-2016 წლების განმავლობაში დაგეგმილია სამსახურის თანამშრომელთათვის ტრენინგების ციკლის ორგანიზება და ჩატარება, შესაბამისად მათი ცოდნის დონის და კვალიფიკაციის ამაღლება.

N	ზოგადი სახის ტრენინგები	მსმენელთა რაოდენობა
1	ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	12
2	ზოგადი მენეჯმენტი	22
3	პრეზენტაციის ჩატარების ტექნიკები	20
4	სტრატეგიული მენეჯმენტი	1
5	ლიდერული უნარ-ჩვევები	12
6	წერითი უნარ-ჩვევების განვითარება	1
7	პროექტების მენეჯმენტი	21
8	სახელმწიფო შესყიდვები	1
9	ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასს)	1
10	ტრენერთა ტრეინინგი	5
11	ეფექტური მომსახურება	16
12	ეფექტური კომუნიკაცია	27
13	რთულ კლიენტებთან ურთიერთობა/ მომხმარებელზე ზრუნვა	16
14	ანგარიშების წერის უნარები	17
15	ეფექტური სატელეფონო კომუნიკაციის ტექნიკები	16
16	საქმიანი ეტიკეტი	8
17	კონფლიქტური სიტუაციების მართვა	16
18	მენეჯერული უნარები მოქმედი მენეჯერებისთვის	2
19	დროის მართვა	22
20	PR მენეჯმენტი	8
21	ინსტრუქტორთა მომზადება	11
22	ინტერნეტ მარკეტინგი	3
23	ინგლისური ენა (Intermediate)	2

განსახორციელებელი აქტივობები

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>ამოცანა 3.1.: eAuction - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება</u>	1. Mobile APP - მობილური აპლიკაციები (Android, IOS)	2014 - 2015
	2. Mobile APP - მობილური აპლიკაციები (Windows mobile)	2014 - 2015
	3. Buy It Now ფუნქციონალი	2014
	4. საქართველოს ბანკის e-Commerce (WebService)	2014
	5. საიტის დიზაინის ოპტიმიზაცია	2014
	6. ამანათის ადგილზე მიტანის სერვისი	2014

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
	7. ონლაინ კონსულტანტის ფუნქციონალის დამატება	2014
	8. რეპორტინგის სისტემის ოპტიმიზაცია	2014 - 2016
ამოცანა 3.2.: არსებული ვებგვერდების მხარდაჭერა და ახალი ვებგვერდების შექმნა	1. ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული უწყებების და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისთვის ვებგვერდების შექმნა, განვითარება და მხარდაჭერა	2014 - 2016
ამოცანა 3.3.: კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა	1. არსებული მოთხოვნების შესაბამისად, ვებსაიტის კონტენტის მართვის სისტემის დახვეწა	2014 - 2016
	2. ვებსაიტების მართვის ძრავის თანამედროვე სტანდარტების გათვალისწინებით, უსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა	2014 - 2016
ამოცანა 3.4.: ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული ვებსაიტების განახლებულ ძრავზე გადატანა	1. არსებული ვებსაიტების გადატანა განახლებულ ძრავზე	2014 - 2015
	2. ვებსაიტებისთვის სპეციფიკისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, მიმდინარე ძრავის დახვეწა და ახალი მოდულების შემუშავება	2014 - 2016
ამოცანა 3.5.: სატელეფონო ცენტრის მოდერნიზება, ტექნიკური სერვისების მომსახურების გაუმჯობესება და მრავალი ელექტრონული მართვის სისტემის ეფექტური მხარდაჭერა	1. სატელეფონო ცენტრის გაფართოება, პროცესების სრულად გამართვა და არსებული ინფრასტრუქტურის განახლება	2014 - 2015
ამოცანა 3.6.: სამსახურის პერსონალისათვის ტრენინგების ორგანიზება	1. ფინანსთა სამინისტროს აკადემიის და დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში, „ვორკშოფებში“, სემინარებში და სასწავლო კურსებში თანამშრომელთა მონაწილეობა	2014 - 2016

პარტნიორი ორგანიზაციების როლი: *საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო* წარმოადგენს ელექტრონული აუქციონის სერვისის მფლობელს და მასზე დიდწილად

არის დამოკიდებული ამოცანა 3.1.-ის აქტივობების წარმატებით განხორციელება. შეთანხმებული პროცესის ფარგლებში აღნიშნული უწყება უზრუნველყოფს:

- შეხვედრების ინიცირებას;
- ახალი დავალებების და მოთხოვნების ჩამოყალიბებას;
- ტექნიკური დავალების მომზადების პროცესში სრულ ჩართულობას და პროექტის მენეჯმენტს;
- შექმნილი ფუნქციონალის სათანადო ტესტირებას.

ამოცანა 3.2.-ის განხორციელებისას აქტიურ მონაწილეობას იღებენ შესაბამისი სახელმწიფო დაწესებულებები, რომელთა უშუალო მონაწილეობით იქმნება მათივე ვებიმიჯები თანმხლევი კონტენტითა და დიზაინით. ამ კონტექსტში მათთან თანამშრომლობის პროცედურის სწორად და წარმატებით გამართვა პირდაპირ კავშირშია დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტებთან და მათი მიმდინარე განვითარების სტატუსთან.

ამოცანა 3.6.-ის წარმატებით განხორციელება წარმოუდგენელია *ფინანსთა სამინისტროს აკადემიის*, ქვეყანაში მოქმედი სხვა სასწავლო ცენტრების, უნივერსიტეტების აქტიური ჩართულობის გარეშე. საფინანსო-ანალიტიკური სამსახური გეგმავს ამდაგვარი დიდაქტიკური კუთხითაც და, ზოგადად, ადამიანური რესურსების განვითარების კუთხითაც გააქტიუროს საერთაშორისო თანამშრომლობა, მიმართოს დონორების მიერ დაფინანსებულ პროგრამებს დახმარებისათვის, განახორციელოს თვითონ ახალი საერთაშორისო პროექტები (მ.შ. ევროკავშირის, მსოფლიო ბანკის, გაეროს სააგენტოების, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს, სხვა დონორების დაფინანსებით).

აუცილებელი პირობები:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის არსებობა;
- დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ნება.

მოსალოდნელი შედეგები/შესრულების ინდიკატორები

მიზანი 3: მაღალი სტანდარტების და ხარისხის ელექტრონული კომპონენტების შექმნა, დანერგვა და შესაბამისი მომსახურება	სისტემების ფუნქციონალი, დიზაინი და ელექტრონული სერვისები, მათი მუშაობა შეესაბამება ტექნიკური დავალების და შესაბამისად დაინტერესებული მხარის მოთხოვნებს
შედეგი	**ინდიკატორი**
შედეგი 3.1.: eAuction - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	3.1.1. ელექტრონული აუქციონის მობილური აპლიკაციების გამოყენების სტატისტიკური მაჩვენებლები
	3.1.2. შეთავაზებულ ფასად (Buy it now ფუნქციონალი) აუქციონში გაყიდული ლოტების რაოდენობა

	3.1.3. ამანათის ადგილზე მიტანის სერვისით მოსარგებლე საიტის მომხმარებელთა პროცენტული მაჩვენებელი
	3.1.4. eAuciton.ge საიტიდან სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებით გაწეული ონლაინ კონსულტაციების ხარჯზე ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში ზარების რაოდენობის შემცირება
შედეგი 3.2.: შექმნილია ახალი ვებგვერდები და ხორციელდება არსებული ვებგვერდების მხარდაჭერა	3.2.1. შექმნილი ახალი ვებგვერდების რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებლები
	3.2.2. შექმნილი ვებგვერდების მხარდაჭერაზე დახარჯული ადამიანური და ტექნიკური რესურსის შემცირება
შედეგი 3.3.: დახვეწილია კონტენტის მართვის სისტემა	3.3.1. მარტივად ხდება სტრუქტურული და შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელება
	3.3.2. ახალი მოდულების პროგრამული ნაწილების მარტივად ინტეგრირება
შედეგი 3.4.: ფინანსთა სამინისტროს სისტემაში არსებული უწყებების ვებსაიტები გადატანილია განახლებულ ძრავზე	3.4.1. გადმოტანილი საიტების რაოდენობა
	3.4.2. ახალი ძრავის შემთხვევაში რამდენად შემცირდა 3.3.1. და 3.3.2. ინდიკატორების მაჩვენებლები
შედეგი 3.5.: მომსახურების ხარისხი გაუმჯობესდა, სატელეფონო ცენტრი გაფართოვდა, ტექნიკური სერვისების მომსახურება გაუმჯობესდა და ელექტრონული მართვის სისტემების მხარდაჭერა მეტად ეფექტიანია	3.5.1. სატელეფონო ცენტრის პირველი ხაზის ოპერატორების თითო საუბრის დროის ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები
	3.5.2. სატელეფონო ცენტრის დაკარგული ზარების ამსახველი წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები
	3.5.3. მაკრო- და დეტალური წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 3.6.: სამსახურის თანამშრომლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტიპის ტრენინგები და სასწავლო კურსები	3.6.1. ტრენინგებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა
	3.6.2. ტრენინგების და სასწავლო კურსების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები

მიზანი 4: სახელმწიფო სექტორის ბიზნესპროცესების შესწავლა, ფორმალიზება, ოპტიმიზება და ავტომატიზება

შესასრულებელი ამოცანები

ამოცანა 4.1. eNRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის დანიშნულებაა მერქნული რესურსების მოძრაობის წესების გამარტივება და კონტროლი, პროცესების ავტომატიზება, რესურსების აღრიცხვა და ანალიზი. შესაბამისად, ამ სისტემის განვითრება გულისხმობს არსებულ ფუნქციონალში ცვლილებების შეტანას და ახალი ფუნქციონალის დამატებას მიმდინარე ბიზნესპროცესების ავტომატიზაციის შედეგად.

ამოცანა 4.2. SharePoint 2013 ღრუბლოვანი მოდელის განვითარება.

სახელმწიფო ორგანიზაციებისთვის არსებული პროცესების ავტომატიზებისთვის SharePoint-ის ღრუბლოვანი მოდელის განვითარება.

ამოცანა 4.3. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ გვერდის და საზღვარგარეთ ქვეყნის მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალის შემუშავება-განვითარება.

საზღვარგარეთ ქვეყნის მისიებისთვის ვებგვერდების შექმნა, რომელთა მართვა განხორციელდება გაერთიანებული ვებპორტალის საშუალებით, მართვის ცენტრალიზებული მექანიზმის გამოყენებით. ასევე, მისიების წარმომადგენლებს და ვებსაიტების განახლებაზე პასუხისმგებელ პირებს ექნებათ შესაძლებლობა განაახლონ შესაბამისი ვებგვერდები.

განსახორციელებელი აქტივობები

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
ამოცანა 4.1.: eNRMS - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1. მერქნული რესურსების მართვის სისტემაში მკაცრი აღრიცხვის დოკუმეტების აღრიცხვის მოდერნიზაცია	2014
	2. ლიცენზიანტის პორტალზე ანგარიშების წარდგენის პროცესის სრული ავტომატიზაცია	2014
	3. მობილური ოპერატორის საშუალებით შეტყობინებების მართვის მოდული	2014
	4. ელექტრონული ფოსტის საშუალებით შეტყობინებების მართვის მოდული	2014
	5. სახერხი საამქროს ანგარიშის წარდგენის მოდულის განვითარება	2014

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
	6. ელექტრონულ მოწყობილობაში (Device) ახალი მოდულის - მანქანის მოძრაობის შემუშავება	2014
	7. აღდგენა-გაშენების მართვის სისტემა	2015 - 2016
<u>ამოცანა 4.2.: SharePoint 2013 ღრუბლოვანი მოდელის განვითარება</u>	1. არსებული სისტემების მუშაობის პროცესის მაქსიმალური ავტომატიზაცია, სხვადასხვა სისტემების მონაცემების ერთ გარემოში შეჯამების საშუალება	2014 -2016
	2. ინფორმაციასთან მუშაობა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით, პროცესების მართვის ერთიანი სივრცე	2014 -2016
	3. თანამშრომლებს შორის მაქსიმალური კომუნიკაციის მიღწევა, თანაზიარად მუშაობის პროცესების აწყობა	2014 -2016
<u>ამოცანა 4.3.: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის და საზღვარგა რეთ ქვეყნის მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალის შემუშავება-განვითარება</u>	1. ვებგვერდის შექმნა საზღვარგარეთ მოქმედი მისიებისათვის	2014
	2. ვებგვერდის მართვის ცენტრალიზებული CMS ინსტრუმენტის შექმნა	2014

პარტნიორი ორგანიზაციების როლი:

<u>ამოცანა 4.1.:</u> მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის განვითრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ *გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო,* რომელთა უშუალო მონაწილეობით მუშავდება ეს ელექტრონული სისტემა. მათ მიერ ხდება მოთხოვნების ინიცირება, რის საფუძველზეც ფორმირდება ტექნიკური დავალება და მუშავდება სისტემის ახალი ფუნქციონალი, აგრეთვე ისინივე ახდენენ სისტემის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურებას. სისტემის დანერგვა და მისი განვითარება პირდაპირ კავშირშია *საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს* პრიორიტეტებთან და მათი სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

<u>ამოცანა 4.2.:</u> არ არის მკაფიო გამოკვეთილი პარტნიორი ორგანიზაციები; პოტენციური პარტნიორებია - ქვეყნის მთლიანად საჯარო სექტორი, ადგილობრივი თვითმმართველობების ჩათვლით. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში საჭიროა მათი აქტიური ჩართულობა ბიზნეს პროცესების სრული აღწერისთვის და მოთხოვნების ჩამოყალიბებისთვის.

<u>ამოცანა 4.3.:</u> საგარეო საქმეთა სამინისტრო, ქვეყნის საელჩოები და მისიები საზღვარგარეთ:

- აქტიური ჩართულობა ძირითადი ლოგიკის ჩამოყალიბების პერიოდში;
- თითოეული საელჩოს/მისიის წარმომადგენლის ტრენინგი ვებსაიტის მომავალი განახლებისა და მოდიფიცირების მზაობისათვის.

აუცილებელი პირობები:

- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფა;
- შესაბამისი ფინანსური და ადამიანური რესურსის არსებობა;
- დაინტერესებულ მხარეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობის ნება;
- ტრენინგები ღრუბლოვანი გარემოს შექმნისა და ადმინისტრირების განხრით.

მოსალოდნელი შედეგები/შესულების ინდიკატორები

მიზანი 4: სახელმწიფო სექტორის ბიზნესპროცესების შესწავლა, ფორმალიზება, ოპტიმიზება და ავტომატიზება	ელექტრონული სისტემების ფუნქციონალი, მათი მუშაობა შეესაბამება ტექნიკური დავალების - დაინტერესებული მხარეების მოთხოვნებს; შემცირებულია ახალი ვებპორტალების / ვებსაიტების / ვებგვერდების შექმნაზე დახარჯული ადამიანური, ტექნიკური და დროის რესურსი
შედეგი	**ინდიკატორი**
შედეგი 4.1.: eNRMS - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	4.1.1. შესრულების ფაქტობრივი ვადები შეესაბამება დაგეგმილ ვადებს
	4.1.2. ცხელ ხაზზე ასახული ინციდენტების წლიური სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 4.2.: დანერგილია SharePoint 2013 ღრუბლოვანი მოდელი	4.2.1. ორგანიზაციების რაოდენობა, რომელშიც დანერგილია ღრუბლოვანი მოდელი
შედეგი 4.3.: ფუნქციონირებს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ახალი ვებგვერდი და შემუშავებულია საზღვარგარეთ ქვეყნის საელჩოებისთვის / მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალი	4.3.1. საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდის სრულყოფილად ფუნქციონირება
	4.3.2. საზღვარგარეთ ქვეყნის მისიებისთვის ერთიანი ვებპორტალი ფუნქციონირებს გამართულად

მიზანი 5: ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის და ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის შემუშავებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა

შესასრულებელი ამოცანები

<u>ამოცანა 5.1.</u> eDocument - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება.

- სტატუსების დაგვიანების და სხვა ტიპის ხარვეზების რაოდენობის 50%-ით შემცირება საინტეგრაციო სერვისის (Interflow) ფარგლებში სტატუსების მიმოცვლის ფუნქციონალის დახვეწის გზით;
- საინტეგრაციო სერვისის *სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოს* მეშვეობით განხორციელება ტექნიკური სპეციფიკაციებისა და SLA-ს დეტალურად შემუშავებულ დოკუმენტების შესაბამისად;
- სისტემის მომხმარებელთა პრიორიტეტული მოთხოვნების რეალიზაცია (პლანშეტური მოწყობილობების მხარდაჭერა და სხვა);
- „საკომუნიკაციო წერტილის“ მოდულის შემუშავება.

<u>ამოცანა 5.2.</u> eDocument - სისტემის დანერგვა, განახლება და მხარდაჭერა.

- სისტემის დასანერგი ვერსიის მომზადება;
- სისტემის ვერსიის განახლება მომხმარებელ ორგანიზაციებში;
- სისტემის დანერგვა ახალ ორგანიზაციებში.

<u>ამოცანა 5.3.</u> eAIMS - სისტემის განვითარება, დანერგვა და მხარდაჭერა.

სისტემაში მოხდება ევროკავშირის მიერ საქართველოში განხორციელებული ტექნიკური დახმარების ყველა პროექტის აღრიცხვა. სისტემა არის ღია, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ პიროვნებას ექნება საშუალება იხილოს საქართველოში მიმდინარე პროექტები, ხოლო ავტორიზებულ მომხმარებელს ექნება საშუალება შესაბამის პროექტებზე ნახოს შესრულების პროგრესის მიმდინარე მდგომარეობა.

<u>ამოცანა 5.4.</u> მუნიციპალური ელექტრონული სერვისების განვითარება.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტოსთან, სსიპ იუსტიციის სახლთან, იუსტიციის სამინისტროს სხვა სსიპ-ებთან, ქალაქ ქუთაისის მერიასთან, ქალაქ ბათუმის მერიასთან, სხვა საპილოტე მუნიციპალიტეტებთან ერთად ახალი პროექტების ინიცირება და განხორციელება ქვეყანაში ელექტრონული მუნიციპალური სერვისების განვითარების სფეროში. თემატური თანამშრომლობის გაღრმავება მიმდინარე საერთაშორისო პროექტებთან - „საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება“[4] და „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“[5].

[4] http://sda.gov.ge/ka-GE/p/
[5] http://sda.gov.ge/ka-GE/project/

ამოცანა 5.5. E-Government[6] და E-Governance[7] სფეროში ახალი პოლიტიკის, კონცეფციების, პროცედურების, კომპონენტების, ელექტრონული სერვისების განვითარებაში მონაწილეობის მიღება.

2014-2016 წლებში დაგეგმილია საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის აქტიური მონაწილეობა ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის დარგში საქართველოში მიმდინარე ყველა რეფორმაში, ყველა ღონისძიებაში. სამსახურის მენეჯმენტი გეგმავს უზრუნველყოს ინტენსიური ჩართულობა ზოგადად ქვეყნის E-Development-ის ყველა სფეროში, როგორც პოლიტიკის და პროცედურების შემუშავების მხრივ, ასევე უკვე შემუშავებული სტრატეგიის "A Digital Georgia: eGeorgia Strategy and Action Plan 2014-2018"[8] განხორციელების კუთხით. მნივნელოვანია სამსახურის ჩართულობა აგრეთვე კონკრეტული ელექტრონული სისტემების, ელექტრონული სერვისების, ინფრატსრუქტურის გამოყენების თუ სხვა ტექნიკური გადაწყვეტილებების შექმნისა და დანერგვის მხრივაც.

განსახორციელებელი აქტივობები

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
ამოცანა 5.1.: eDocument - სისტემის განვითარება და ახალი ფუნქციონალის დამატება	1. პლანშეტურ და მობილურ მოწყობილობებზე მომუშავე ვერსიის მომზადება	2014
	2. ახალ ორგანიზაციებში დასანერგი ვერსიის მომზადება	2014
	3. Prive მოდულის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება	2014
	4. არსებულ მომხმარებელებთან დასანერგი ვერსიის მომზადება	2014
	5. ერთიანი საკომუნიკაციო წერტილის მოდულის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება	2014
	6. მომხმარებელთა მოსაზრებების გაანალიზება და შესამუშავებელი ფუნქციონალის ტექნიკური დავალების ჩამოყალიბება	2014 - 2015
	7. ახლად ჩამოყალიბებებული ფუნქციონალის შემუშავება, ტესტირება და სისტემაში ჩაშენება	2015 - 2016

[6] http://en.wikipedia.org/wiki/E-Government
[7] http://en.wikipedia.org/wiki/E-Governance
[8] http://www.dea.gov.ge/uploads/eGeorgia%20Strategy.pdf

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
	8. ელექტრონული ხელმოწერის მოდულის განვითარება და სრულყოფა	2015
	9. საინსტალაციო ვერსიის შემუშავება	2016
	10. უცხოენოვანი ვერსიების შემუშავება	2016
	11. საქმისწარმოების სხვა კომპიუტერულ სისტემებთან ინტეგრაციის განვითარება და სრულყოფა	2014 - 2016
	12. მცირე- და საშუალომასშტაბიანი განახლებების შემუშავება და დანერგვა; სისტემის PFMS-თან ინტეგრაცია	2014 - 2016
<u>ამოცანა 5.2.: eDocument - სისტემის დანერგვა, განახლება და მხარდაჭერა</u>	1. სისტემის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწყებებში / ორგანიზაციებში დანერგვა	2014
	2. სისტემის დანერგვა საჯარო და კერძო სექტორის სხვა უწყებებში და ორგანიზაციებში	2014 - 2016
	3. სისტემის დანერგვა სამხარეო, რეგიონულ და მუნიციპალურ დაწესებულებებში	2014 - 2016
	4. ცხელი ხაზის სერვისების გაფართოება, შემდგომი ტექნიკური მხარდაჭერა	2014 - 2016
<u>ამოცანა 5.3.: eAIMS - სისტემის განვითარება, დანერგვა და მხარდაჭერა</u>	1. ფუნქციონალის შემუშავება, სისტემის ტესტირება, ადაპტირება და დანერგვა	2014
<u>ამოცანა 5.4.: მუნიციპალური ელექტრონული სერვისების განვითარება</u>	1.ახალი ინიციატივების / პროექტების წამოწყება და იმპლემენტირება რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე ელექტრონული სერვისების განვითარების სფეროში	2014 - 2016
	2. საქმიანი კომუნიკაცია, თემატური თანამშრომლობა მიმდინარე საერთაშორისო პროექტებთან - „საზოგადოებრივი ცენტრების განვითარება“ და „ელექტრონული მმართველობის დანერგვა ადგილობრივ თვითმმართველობებში“	2014 – 2015
<u>ამოცანა 5.5. E-Government და E-Governance სფეროში ახალი პოლიტიკის, კონცეფციების,</u>	1. აქტიური ჩართულობა ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის დარგში მიმდინარე ყველა ღონისძიებაში ან აქტიობაში	2014 – 2016

შესასრულებელი ამოცანები	აქტივობები	ვადები
<u>პროცედურების, კომპონენტების, ელექტრონული სერვისების განვითარებაში მონაწილეობის მიღება</u>	2. კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა ქვეყნის სტრატეგიული დოკუმენტის "A Digital Georgia: eGeorgia Strategy and Action Plan 2014-2018" განხორციელებაში	2014 – 2016

პარტნიორი ორგანიზაციების როლი: დოკუმენტბრუნვის სისტემების საინტეგრაციო სერვისის კუთხით ქვეყნის საჯარო სექტორში გავრცელებული საქმისწარმოების სისტემების საინტეგრაციო სერვისის ფარგლებში გამოკვეთილია შემდეგი პარტნიორი ორგანიზაციები: (1) *შინაგან საქმეთა სამინისტრო*, (2) *იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო*, (3) *იუსტიციის სამინისტროს სსიპ მონაცემთა გაცვლის სააგენტო*. ასევე, *ფინანსთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის* და *სსიპ შემოსავლების სამსახურის* და ზემოთ ნახსენები უწყებების კანცელარიები, რომლებთანაც კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საინტეგრაციო სერვისის მართებული განვითარება.

აუცილებელი პირობები:

- რეფორმები უზრუნველყოფილია საკანონმდებლო მხარდაჭერით;
- შეთანხმებული ვადების დაცვით სრულდება სპეციფიკაციების დოკუმენტებზე მუშაობა;
- საქმისწარმოების საინტეგრაციო სერვისის სრულყოფის მიზნით, უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგანიზაციების კანცელარიების აქტიური ჩართულობა.

მოსალოდნელი შედეგები / შესრულების ინდიკატორები

მიზანი 5: ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის და ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის შემუშავებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა	შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურებით და ვადებში სხვადასხვა ელექტრონული სისტემის/სერვისის დანერგვა; შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში; დოკუმენტბრუნვის სისტემის eDocument მომხმარებელი ორგანიზაციების სხვა ანალოგიური სისტემების მომხმარებელ ყველა სხვა ორგანიზაციასთან დოკუმენტების ელექტრონულად მიმოცვლა
შედეგი	**ინდიკატორი**
შედეგი 5.1.: eDocument - სისტემაში შეტანილია დაგეგმილი ცვლილებები და დამატებულია ახალი ფუნქციონალი	5.1.1. მომხმარებელთა შესაბამისი სატელეფონო და წერილობითი გამოკითხვების სტატისტიკური მაჩვენებლები
	5.1.2. ცხელ ხაზზე შემოსული პრეტენზიების და/ან კითხვების სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 5.2.: eDocument - სისტემა დანერგილია სხვადასხვა ორგანიზაციაში, განახლებულია სისტემის ვერსია და უზრუნველყოფილია მხარდაჭერა	5.2.1 დანერგვისა და განახლების გეგმის შესაბამისობა ფაქტობრივ მონაცემებთან
	5.2.2. ცხელ ხაზზე შემოსული პრეტენზიების და/ან კითხვების სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 5.3.: დანერგილია eAIMS - სისტემა და უზრუნველყოფილია მისი მხარდაჭერა	5.3.1. სისტემაში დარეგისტრირებული ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტებისა და აქტიური მომხმარებლების რაოდენობა
	5.3.2. ცხელ ხაზზე შემოსული პრეტენზიების და/ან კითხვების სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 5.4.: განვითარდა ახალი მუნიციპალური ელექტრონული სერვისები; განხორციელდა მათი დანერგვა თვითმმართველი ქალაქების პილოტურ მერიებში და ზოგიერთი მუნიციპალიტეტის გამგეობასა და საკრებულოში	5.4.1. ახლად შემუშავებული მუნიციპალური ელექტრონული სერვისების სახეობა, თემატური დანიშნულება და რაოდენობა
	5.4.2. ახლად შემუშავებული მუნიციპალური ელექტრონული სერვისების დანერგვის არეალი - პილოტური მერიების, გამგეობების, საკრებულოების, სოფლად/თემებში საზოგადოებრივი ცენტრების რაოდენობა და გეოგრაფიული გავრცობა
	5.4.3. ახლად შემუშავებული მუნიციპალური ელექტრონული სერვისების დანერგვისას ახალი მომხმარებლების რაოდენობა და თანამდებობრივი გადანაწილება

მიზანი 5: ქვეყანაში ელექტრონული მთავრობის და ელექტრონული მმართველობის პოლიტიკის შემუშავებისა და დამკვიდრების ხელშეწყობა	შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტებით განსაზღვრული პროცედურებით და ვადებში სხვადასხვა ელექტრონული სისტემის/სერვისის დანერგვა; შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება სახელმწიფო და მუნიციპალურ დაწესებულებებში; დოკუმენტბრუნვის სისტემის eDocument მომხმარებელი ორგანიზაციების სხვა ანალოგიური სისტემების მომხმარებელ ყველა სხვა ორგანიზაციასთან დოკუმენტების ელექტრონულად მიმოცვლა
შედეგი	**ინდიკატორი**
	5.4.4. პილოტურ ქალაქებში, მუნიციპალიტეტებში, სოფლებში/თემებში ჩატარებული ტრენინგების სახეობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები
	5.4.5. ცხელ ხაზზე შემოსული პრეტენზიების და/ან კითხვების სტატისტიკური მაჩვენებლები
შედეგი 5.5.: E-Government და E-Governance სფეროში შეიქმნა ახალი პოლიტიკის დოკუმენტები და კონცეფციები; სრულყოფილია ბიზნეს პროცედურები; განვითარდა ახალი ელექტრონული სისტემები და სერვისები	5.5.1. E-Government და E-Governance სფეროში შექმნილი ახალი პოლიტიკის დოკუმენტების და კონცეფციების რაოდენობა და მნიშვნელობა
	5.5.2. E-Government და E-Governance სფეროში რაციონალიზებული ბიზნეს პროცედურების და რეგლამენტირებული წესების სიმრავლე
	5.5.3. E-Government და E-Governance სფეროში დაპროექტებული, შექმნილი და დანერგილი ახალი ელექტრონული სისტემებისა და სერვისების რაოდენობა და სახეობა; მომხმარებელთა სიმრავლე

IX. მონიტორინგი და შეფასება

საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ურთიერთშემავსებელი პროცესებია და საფუძვლად უდევს წინამდებარე სამწლიანი სტრატეგიული გეგმის ეტაპობრივ განხორციელებას და მის წარმატებით შესრულებას. ამ გეგმის შესრულების მონიტორინგს, ისევე როგორც მის შუალედურ და ფინალურ შეფასებას განახორციელებენ *ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტი*, აგრეთვე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, *სახელმწიფო აუდიტის სამსახური.*